

# საქართველოს იბლიოთეკა

სამეცნიერო-პოპულარული და მეთოდური ჟურნალი



ქართველთა შორის წერა-კითხვის  
გამავრცელებელი საზოგადოება -140





ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს; ჟურნალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ დაურიგდებათ საჯარო ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები შიილება, როგორც ხელნაწერი, ასევე ელექტრონული ფორმით. ტექსტი უნდა იყოს აკრედიტი Sylfaen შრიფტით. გადმოიგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანოზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

- მთავარი რედაქტორი      ალექსანდრე ლორია
- სარედაქციო კოლეგია:    გურამ თაყნიაშვილი  
                                  გულნარა სტურუა  
                                  მაია შიქაბერიძე  
                                  მირიან ხოსიტაშვილი  
                                  რუსუდან ასათიანი
- ყდის დიზანი              გიგი გელაშვილი
- ტექნიკური რედაქტორი    ლოლა სანაია
- დაკაბადონება            გელა ბაბაკიშვილი

საქართველოს ბიბლიოთეკა №1(74) – 2019; გამოიცემა 2000 წლიდან.  
საავტორო უფლება: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ამ ჟურნალში გამოქვეყნებული მათე და გიორგი კერესელიძეების, გიორგი იოსელიანის და გიორგი ყაზბეგის ფოტოები აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელიდან“.



# გილოცავთ ახალ 2020 წელს!



*გილოცავთ შობა-ახალ წელს*

*ვისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, სულიერ  
სიმშვიდეს და წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ  
შემოქმედებით საქმიანობაში.*

## რ ე დ ა ქ ც ი ი ს ს ვ ე თ ი

მ იმდინარე წლის ბოლო, მე-4 ნომერში რედაქცია აგრძელებს ტრადიციული რუბრიკებით იმ მასალების წარდგენას, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე ქართული საბიბლიოთეკო პრაქტიკა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკას და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ძალისხმევა ძირითადად მიმართულია სასოფლო ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაცია - მოდერნიზაციისაკენ, რაც თვისებრივად ახალ ფუნქციებს მატებს სოფლად მოქმედ ბიბლიოთეკებს. ეროვნული ბიბლიოთეკა თანდათანობით ზრუნავს სოფლის ბიბლიოთეკების ფონდების განახლებასა და საცნობარო აპარატის მოდერნიზაციაზე.

ჟურნალის წინამდებარე ნომერი აგრძელებს საქართველოს ცალკეული მხარეების მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ანალიზს, რაც საშუალებას აძლევს ეროვნულ ბიბლიოთეკას შეიმუშავოს ქვეყნის საბიბლიოთეკო ქსელის განვითარების მეთოდურად გამართული რეკომენდაციები და ამით საკუთარი

წვლილი შეიტანოს საქართველოს საბიბლიოთეკო პოლიტიკის მიზანმიმართულად განვითარებაში. წინამდებარე ნომერში გამოქვეყნებული ორი წერილით ჟურნალი ამთავრებს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 140-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მასალების პუბლიკაციებს; ცნობილია ამ საზოგადოების ღვაწლი და ამაგი საქართველოში სახალხო ბიბლიოთეკის ქსელის ჩამოყალიბებასა და განვითარების საქმეში.

ნომერში ნაკლებადაა წარმოდგენილი კორესპონდენციები, ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტში მომუშავე ბიბლიოთეკარები, თუმცა დიდი ინტერესით ეცნობიან ჩვენი ჟურნალის მასალებს, მაგრამ თვითონ ნაკლებად ზრუნავენ საბიბლიოთეკო ცხოვრების ამსახველი მასლების გადმოცემაზე. რედაქციას საჭიროდ მიაჩნია ამ მიმართულებით უფრო ძალისხმევა გამოიჩინოს, რათა ჟურნალში სისტემატურად აისახოს ის სისხლსავსე ცხოვრება, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე საბიბლიოთეკო პრაქტიკა.

<b>ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაცია და მოდერნიზაცია</b>	
ლეილა თამლიანი - ინტერნეტიზაციის სიკეთე .....	3
<b>ქართული წიგნის ისტორია</b>	
ნინო ხვედელიძე - იტალიაში დაწყებული ქართული ბეჭდური წიგნის ისტორია და პირველნაბეჭდი ქართული გამოცემები .....	4
<b>ბიბლიოთეკები და ადგილობრივი თვითმმართველობა</b>	
გიორგი კილაძე - სამოქალაქო ბიუჯეტი და ბიბლიოთეკები .....	11
<b>ქართული ემიგრაცია</b>	
მარიამ მარჯანიშვილი - ყოფიერების ამაოებით დაღლილის აღსარება .....	14
<b>ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება - 140</b>	
რუსუდან ნაქაძე - გიორგი იოსელიანი .....	19
ლია გიგაური - გიორგი ყაზბეგი .....	22
<b>საბიბლიოთეკო ქსელი</b>	
გურამ თაყნიაშვილი, ნანა ქავთარაძე - სამცხე-ჯავახეთის მხარის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება .....	26
<b>IREX - ინფორმაცია</b>	
ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიის ბიბლიოთეკის წარმატების რეცეპტი .....	30
<b>ჩვენი შემოქმედება</b>	
მარი ჩაკვეტაძე - ლექსები .....	32
<b>მწერლის დებიუტი ჩვენს ჟურნალში</b>	
გია ჯიჭონაია - კირბები .....	33
<b>კორესპონდენციები</b>	
ზეინაბ ზაქარიაშვილი - ბიბლიოთეკის იუბილე .....	35
გიორგი გაბუნია - რეპლიკა .....	37
ჩიხის სასოფლო ბიბლიოთეკაში .....	37
<b>რეცენზიები</b>	
ინგა ფილაური-ლორია - ლირიზმით აღსავსე პოეტური კრებული .....	38
სხვადასხვა დროსა და ხანაში .....	39
<b>ქრონიკა</b>	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები .....	40
<b>2020 წლის ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი</b> .....	43
<b>გამოსათხოვარი</b>	
ნეკროლოგი - მანანა კვირიკაშვილი .....	49
ნეკროლოგი - ინგა არგუტინსკაია .....	50

## ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაცია და მოდერნიზაცია

### ლელია თამლიანი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი



ბიბლიოთეკაში 2008 წელს დავინყე მუშაობა, როცა აღდგენილი იქნა სოფელ ტანძიის ბიბლიოთეკა. ჩემი მთავარი მიზანი იყო თვითგანვითარება ჩემთვის ახალ სისტემაში მუშაობისათვის, ბიბლიოთეკაში მკითხველთა მოზიდვა და მოსახლეობაში ბიბლიოთეკის პოპულარიზაცია. უახლოეს პერიოდში საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ წამოიწყო საქართველოს რეგიონებში პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ რაშიც აქტიურად ჩავერთე. პროექტის ფარგლებში გავიარე ძალიან საინტერესო და საჭირო ტრენინგები: სასწავლო დაწესებულებების და რეგიონალური ბიბლიოთეკების ბიბლიოთე-

კართა ტრენინგი; საბაზისო კურსი კომპიუტერული უნარჩვევებში პროექტის „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, ფარგლებში და ელექტრონულ სერვისებში პროექტის „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, ფარგლებში. შევისწავლეთ მომხმარებელთა მოზიდვის მეთოდები; ბიბლიოთეკის მოწყობა და სასიამოვნო გარემოს შექმნა ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის.

მაღევე ჩავერთე პროექტში ბიბლიოთეკარი როგორც თემის მობილიზატორი და გამაძლიერებელი. ჩემი პროექტი ითვალისწინებდა ქართული ენის შესწავლას აზერბაიჯანული სოფლის მოსახლეობასა და ახალგაზრდობაში. საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ამ პროექტით გადმოგვეცა კომპიუტერული კომფლექტი უფასოდ. კომპიუტერი, ქსეროქსი, პრინტორი, ფოტო აპარატი. ყოველივე ეს დამეხმარა მომხმარებლის მოზიდვაში. ბიბლიოთეკა გახდა ყველასათვის მისაღები საინტერესო და მრავალფეროვანი ადგილი სოფელში. აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა როგორც ბიბლიოთეკარი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო. მინდა უღრმესი მადლობა და პატივისცემა გამოვხატო საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის, რუსუდან ასათიანის მიმართ, რომელმაც გააერთიანა და ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა ჩაუნერგა საქართველოს რეგიონების ბიბლიოთეკარებს.

## ქართული წიგნის ისტორია

### წინო ხვედელიძე

### იტალიაში დაწყებული ქართული ბეჭდური წიგნის ისტორია და პირველნაბეჭდი ქართული გამოცემები

ქართული ბეჭდური წიგნის ისტორია იტალიაში ნაბეჭდი გამოცემებით იწყება. ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტს წინ უძღოდა ქართველ მამულიშვილთა ხანგრძლივი და თავდაუზოგავი მცდელობა იმ უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც XVI-XVII საუკუნეების საქართველოში სუფევდა: ბიზანტიის დამხობის შემდეგ სამეფო-სამთავროებად დანაწევრებული, მუსულმანურ სახელმწიფოთა გარემოცვაში მყოფი საქართველო, დამპყრობელთა სასტიკი ზეწოლის ქვეშ მოექცა. 1555 წელს, ამასიაში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სპარსეთმა და ოსმალეთმა ქართულ ტერიტორიებზე ბატონობის სფეროები დაინაწილეს. ორ მოძალადეს შორის მოქცეული საქართველო კულტურული ევროპისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. ვერაგულ და სისხლისმღვრელ ბრძოლებში აღმოსავლეთ საქართველომ აუნაზღაურებელი დანაკარგი განიცადა, რუსეთიდან სამხედრო მოკავშირეობის იმედიც გადაიწურა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობების დასამყარებლად ქართველ მეფეთა და მთავართა დავალებით არაერთი სახელმწიფო მოღვაწე თუ წარმომადგენლობა გაემგზავრა უცხოეთში. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირუბაქიძე - ჩოლოყაშვილი (დაახ. 1585-1658), „წმინდა ბასილის ორდენის“ ბერი, რომელიც მეფე თეიმურაზ I-მა (1589-1663) მიავლინა ელჩად ესპანეთსა და იტალიაში.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა 1627 წელს მიიღო მეფისაგან იტალიაში ელჩობის რწმუნების სიგელი. დოკუმენტი მას რომის პაპის, ურბან VIII-სათვის უნდა გადაეცა. ნიკოლოზი რომში 1628 წლის დასაწყისში ჩავიდა, დაუკავშირდა კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელ საზოგადოებას - „პროპაგანდა ფიდეს“, რომელსაც მისი

პაპთან შეხვედრა უნდა მოემზადებინა. მომავალი ელჩის ერთ-ერთი მისია სავარაუ-



ნიკიფორე ჩოლოყაშვილი XVII ს.  
კრისტოფორო დე კასტელის ნახატი

დოდ ქართული ბეჭდური წიგნის გამოცემა გახლდათ.

მეორე მხრივ, პროტესტანტული შემოტევებისაგან შეწუხებული რომის კათოლიკური ეკლესია სამწყსოს გამრავლებას აღმოსავლეთით ცდილობდა და მისიონერებს აგზავნიდა ქრისტიანულ ქვეყნებში. კათოლიკე მისიონერებისა და მოგზაურების მიერ უცხოეთში ვრცელდებოდა ცნობები საქართველოს შესახებ. ევროპის წიგნსა-

ცავებსა და არქივებში მოიპოვება მდიდარი მასალა საქართველოს ისტორიის, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შესახებ. ეს დოკუმენტები წერილების, მოხსენებითი ბარათების, ანგარიშებისა და ცალკეული ცნობების სახით არის დაცული.

პიეტრო დელა ვალე საქართველოს შესახებ წერდა: „მთელი ეს ქვეყანა დღეს ხმარობს მხოლოდ ერთ ენას, რომელიც ყველა იქ მცხოვრები ხალხის საერთო ენაა. ამ ქვეყანას, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „ჯორჯიას“, ხოლო ადგილობრივი მცხოვრები

„საქართველოს“, უნინ ფლობდა მხოლოდ ერთი მეფე“.

საქართველოში სტუმრებს განსაკუთრებული პატივით ხვდებოდნენ, რაზეც მეტყველებს მისიონერების წერილები. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეო, რომელიც გავლით იმყოფებოდა საქართველოში.

ქართული ეკლესია რომის კათოლიკურ ეკლესიასთან არ იყო დაკავშირებული, ამიტომ მეფის, კათალიკოსისა და წმინდა მამის ნებართვით ჯოვანი ტადეო საკურთხეველი რომაულ ყაიდაზე მოაწყო და წირვა ლათინურ ენაზე ჩაატარა სომხურ ეკლესიაში, რომელიც იტალიის ეკლესიას ღვთიურ მეთაურად აღიარებდა.

მოგვიანებით, ჯოვანი ტადეო წერდა, რომ მეფე თეიმურაზ I-მა მას შესთავაზა კახეთში დარჩენა, საცხოვრებელი სახლი მსახურებით და კათოლიკური ეკლესია-მონასტრის აგება. კათოლიკე მისიონერი გასცნობია აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას, საქართველო სპარსეთის ურთიერთობების საკითხებს და რომში, „წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესათვის“ მოხსენებითი ბარათი გაუგზავნია.

სავარაუდოდ, ეს იყო პირველი საბუთი,



1622 წელს, ვატიკანში დაარსდა „პროპაგანდა ფიდე“, რომელიც შემდგომში „ევანგელიზაციის კონგრესად იწოდებოდა“ და მიჩნეულია უმაღლესი რანგის კათოლიკურ სასულიერო, სამისიონერო ორგანიზაციად.



რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიას. „პროპაგანდა ფიდეს“ უმაღლესი რანგის კათოლიკური, სასულიერო, სამისიონერო ორგანიზაცია, რომელიც 1622 წელს დაფუძნდა ვატიკანში, შემდგომში „ევანგელიზაციის კონგრესად“ იწოდებოდა.

საზოგადოების მიზანი სხვადასხვა ქვეყნებში სარწმუნოების მქადაგებელთა მომზადება და ახალი მისიების დაარსება გახლდათ. მისიონერთა მოსამზადებლად საჭირო იყო სათანადო ლექსიკონებით და გრამატიკის სახელმძღვანელოებით აღჭურვა. 1626 წელს საზოგადოებამ დააარსა საკუთარი გამომცემლობა და სტამბა, რომელიც მისი მმართველის აქილე ვენერიოს სახლში განათავსეს. პასუხისმგებელმა მდივნმა - სტეფანო პაოლინიმ სტამბა ოცზე მეტი სხვადასხვა შრიფტით აღჭურვა. იქ სხვადასხვა ენაზე უხვად იბეჭდებოდა სასულიერო წიგნები, რის გამოც სტამბამ „პოლიგლოტას“ სახელწოდება მოიწიგო.

„კონგრეგაციამ“ კათოლიკური სამწყსოს გამრავლების მიზნით მართმადიდებლურ და კათოლიკურ სარწმუნოებათა შორის ცდომილების შესწავლა საქართველოში ნამყოფ მისიონერს – ფრანჩისკო ინგოლას დაავალა. 1628 წლის 20 ივნისს, კარდინალ ბანდინუსის სასახლეში მოწვეულ სხდომაზე, ეს ცდომილება მცირე განსხვავებად ჩათვალეს, ქართველ ელჩს მფარველობას შეჰპირდნენ, თუ იგი კათოლიკობას მიიღებდა. სხდომის ოქმი გამოქვეყნებულია აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავასა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ჯუანშერ ვათეიშვილის გამოკვლევაში „პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები“. ამ დოკუმენტის დასკვნითი ნაწილის განჩინებაში მითითებულია, რომ „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში უნდა ჩამოესხათ ორი სახის ქართული შრიფტი: მხედრული და ნუსხური.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი იძულებული გახდა დათანხმებოდა კათოლიკური წესით მონათვლას. რის შედეგადაც იგი ნიკიფორე ირბახად იწოდებოდა. პაპმა კათოლიკედ მონათლული ქართველი ელჩი დაუყოვნებლივ მიიღო.

1628 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებული



„ქართული ანბანი ლოცვებითურთ“.  
რომი. 1629 წ.

კონგრეგაციის სხდომის ოქმის საშუალებით ირკვევა, რომ „პროპაგანდა ფიდეს“ მიუღია განმეორებითი გადაწყვეტილება ორივე სახის ქართული - მხედრული და ნუსხური ანუ საერო და სასულიერო შრიფტის ჩამოსხმის შესახებ.

„პროპაგანდა ფიდეს“ მიზანი გახლდათ აღმოსავლეთ საქართველოში ახალი მისიის დაარსების მიზნით კათოლიკური სარწმუნოების მქადაგებელთა გასამზადებლად მომზადება, რისთვისაც საჭირო იყო მისიონერთა აღჭურვა სათანადო ლექსიკონებით, გრამატიკის სახელმძღვანელოებითა და საღვთისმეტყველო ლიტერატურით. კონგრეგაციამ გადაწყვიტა ქართული შრიფტის ჩამოსხმისა და წიგნების დაბეჭდვისათვის შეექმნა ქართული ასოების პუანსონები და მატრიცები.

ამ საქმის ძირითადი სულისჩამდგმელის – ნიკიფორე ირბახის დიდი მონდობებით 1629 წლის ივნისიდან წლის ბოლომდე შეიქმნა ხელნაწერი მხედრული ასო-ნიშნების მიხედვით დამზადებული პუანსონები

და ლიგატურები. მისი თანდასწრებითა და მონაწილეობით ხორციელდებოდა ქართული ლიტურგიების ჩამოსხმა, რაც იმჟამად ხის ყალიბების საშუალებით ხორციელდებოდა. გერმანელ ასოთჩამომსხმელ ოსტატს „ტედესკოს“ ქართული ანბანის ლითონზე გადაღებაში იტალიელი ჯანბატისტ სოტილე ეხმარებოდა. ამ ორმა ცნობილმა ასოთჩამომსხმელმა ფილიგრინულად შეასრულა ყველა სამუშაო. ტექსტის აწყობა დაევალი იოზეფ-დავით ლიუნს. მთავარი მბეჭდავის („პროტოს“-ის) როლს ასრულებდა სტეფანე პაოლინი.

1629 წლისთვის შეიქმნა ქართული პოლიგრაფიული შრიფტი და დაისტამბა პირველი ქართული წიგნები – „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“. ამავე წლითაა დათარიღებული ნიკიფორე ირბახის მიერ ლათინურიდან ქართულად თარგმნილი, „ლიტანია ლაურენტანას“ სახელწოდებით ცნობილი ლოცვა ლორენტოს ღვთისმშობლისადმი.

ქართველი საზოგადოებისთვის პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნად მიჩნეულია „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. წყაროებზე დაყრდნობით, ვვარაუდობთ, რომ რომში დაბეჭდილი პირველი ქართული ტექსტის ნიმუში გახლდათ „ლიტანია ლაურენტანა“. რაც შეეხება ორი გამოცემის: „ქართულ-იტალიური ლექსიკონისა“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ გამოქვეყნების თანმიმდევრობას, ქართველი მეცნიერების ვარაუდით, პირველად დაისტამბა შედარებით

მცირე მოცულობის ანბანი ლოცვებითურთ, რომელმაც ასოთამწყობისთვის ერთგვარი სავარჯიშოს როლი შეასრულა, რითიც მას შემდგომი ამოცანის გადაჭრა გაუადვილებოდა. სამივე გამოცემა ერთი და იგივე მხედრული შრიფტით არის აწყობილი.

1629 წელს „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში დაბეჭდილი დოკუმენტი „ლიტანია ლაურენტანას“ ქართული თარგმანის ანაბეჭდია. *Litaniae B(eatae) M(ariae) V(irginis) Lauretanae*“, რაც ქართულად ნიშნავს: „ლიტანია ლორეტოს ნეტარისა ქალწულისაი მარიამისი“. ეს არის ერთ გაშლილ ფურცელზე (*in aperto*) მხედრული შრიფტით დასტამბული ლოცვის ტექსტი. ფურცელის ზომა 44x25 სმ-ია. სათაურის ქვეშ ორ სვეტად დაბეჭდილ ტექსტში მარცხენა მხარეს 33, მარჯვენაზე - 26 ბწკარია. ეს არის ნიკოფორე ირბახის მიერ ლათინურიდან ქართულად თარგმნილი კათოლიკური ლოცვის ტექსტი, რომელიც ქალაქ ლორეტოს სასწაულმოქმედად მიჩნეული ღვთისმშობლის რელიკვიებისადმი იყო მიძღვნილი.

ლიტანიის ქართული ტექსტის დამაგვირგვინებელი პწკარის ქვეშ გავლებული ხაზის მიღმა იტალიური წარწერაა: „*In Roma, nella Stampa della Sag(ra) Congreg(szione) de Propaganda Fide. Con Licenza de' Superiori*“, რაც ნიშნავს: დაბეჭდილია რომში, პროპაგანდა ფიდეს წმ(ინდა) კონგრეგ(აციის) სტამბაში უმაღლესი სასულიერო მთავრობის ნებართვით.

წიგნის მკვლევართა მოსაზრებით, „ლიტანია ლაურენტანა“ დიდი ტირაჟით უნდა დაბეჭდილიყო. იგივე ტექსტი, სათაურის მცირედი განსხვავებით შევიდა წიგნშიც „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და 1643 წელს, ფრანჩესკო-მარია მაჯიოს მიერ იმავე სტამბაში დაბეჭდილ გამოცემაში „ქართული ენის გრამატიკა“, რაც ამ ლოცვის პოპულარობაზე მეტყველებს.

ლოცვის ტექსტი ჩასმულია ორნამენტის შემცველ ჩარჩოში. ამ ორნამენტის ცალკეული დეტალები გვხვდება „ქართულ-იტალიური ლექსიკონისა“ და „ქართული ენის გრამატიკის“ გამოცემებში. „ლიტანია ლაურენტანას“ გაფორმება, ორივე წიგნისაგან მკვეთრად განსხვავდება თავისი შთამბეჭ-




„ლიტანია ლაურენტანას“ ქართული თარგმანის ანაბეჭდზე გამოსახული გრავიურა

დავი გრავიურის წყალობით. ის გამოცემის დამაგვირგვინებელი დეტალია და დაქარაგმებული სათაურის ზემოთ მდებარეობს. მასზე გამოსახულია ღვთისმშობლის თაყვანისცემის მრავალფიგურიანი კომპოზიცია. გრავიურა განსაკუთრებულად გამოიყურება. იგი ხის ყალიბის მეშვეობით არის დამზადებული. სამწუხაროდ, ამ კომპოზიციის მხატვარი და გრავიორი უცნობია.

იმდროინდელ ევროპაში მიღებული წესის თანახმად, სტამბა (მაგ. ელზევირების, პლანტენის, ეტიენების, ალდების და სხვა) სანიმუშო შრიპტების ამონაბეჭდს ამზადებდა. ფაქტობრივად, „ლიტანია ლაურეტანა“ უნდა იყოს ქართულ ენაზე დაბეჭდი პირველი ტექსტი, რომელმაც ერთგვარი საჩვენებელი ტექსტის როლი შეასრულა და უნიკუმად იქცა. მისი ერთადერთი ეგზემპლარი დაცულია ვატიკანის „ბიბლიოთეკა აპოსტოლიკაში“.

1629 წელს იმავე სტამბაში დაბეჭდილი ქართული წიგნი - „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, სასწავლო დანიშნულების საანბანო გამოცემა გახლდათ. ლექსიკონის მსგავსად, ისიც განკუთვნილი იყო კათოლიკობის გამავრცელებელი საზოგადოების მისიონერებისათვის. დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ამ მცირეფორმატიანი წიგნის ფუნქცია, რადგან XIX საუკუნემდე აღნიშნული გამოცემით ევროპელი ქართველოლოგებიც სარგებლობდნენ. ოცდათორმეტგვერდიანი წიგნის საწყის შვიდ გვერდზე ქართული მხედრული ანბანია დაბეჭდილი, ხოლო დანარჩენ გვერდებზე განთავსებულია ლოცვები, მრწამსი, ათი მცნება და ღვთისმშობლის საგალობელი. ტექსტები ნაბეჭდია ქართულ და ლათინურ ენებზე. ქართული ტექსტის ენა მარტივია და ადვილად გასაგები. მიჩნეულია, რომ იგი საგანგებოდ ამ გამოცემისათვის თარგმნა ნიკიფორე ირბახმა. ამ წიგნის რვა ეგზემპლარის (რომში - სამი და შვეიცარიაში, ქალაქ უპსალას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში - ხუთი) ეგზემპლარის შესწავლის შემდეგ არნოლდ ჩიქობავა და ჯუანშერ ვათეიშვილი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არსებობს მისი მინიმალურად განსხვავებული სამი ცალკეული ანაწყობი.



„ქართულ-იტალიური ლექსიკონი“.  
რომი. 1629 წ

ჩვენთვის ცნობილია საქართველოში დაცული გამოცემის ორი ეგზემპლარი, რომელთაგან ერთი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება.

ქართულ-იტალიური ლექსიკონის სრული სათაურია: „Dittionario Giorgiano e Italiano, composto da Stefano Paolini con l'aiuto del M. R. P. D. Niceforo Irbachi Giorgiano, Monaco di S. Basilio — ad uso de Missionarii della Sagra Congregazione de Propaganda Fide“, რომლის ქართული თარგმანია: „ლექსიკონი ქართული და იტალიური, შედგენილი სტეფანო პაოლინის მიერ, ქართველი ნიკიფორე ირბახის, წმ. ბასილის (წესის) ბერის დახმარებით — სახმარად სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების მისიონერთა“. წიგნი დაბეჭდილია საერო, მხედრული შრიფტით. არნოლდ ჩიქობავასა და ჯუანშერ ვათეიშვილის ცნობით ლექსიკონი მოიცავს 3084 სიტყვას.

გამოცემა, როგორც სათაურშია აღნიშნული, კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების მისიონერებისათვის შეადგინა სტეფანო პაოლინიმ. მის

შედგენაში, შრიფტის შექმნასა და გამოცემის მომზადებაში უზარმაზარი წვლილი ნიკიფორეს მიუძღვის. ქართული საანბანო ნიგნის შედგენასთან ერთად „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ სიტყვანის ნუსხის შექმნა ყველაზე რთული მოვალეობა იყო და რაღა თქმა უნდა ეს საპასუხისმგებლო საქმეც ნიკიფორემ შეასრულა, რაზეც იუნყება უცხოური გამოცემა (APF, SRC, Stamperia, 1622-1720, vol I., p. 123), რომელშიც იგი ლექსიკონის ერთპიროვნულ ავტორად არის მოხსენიებული. ლექსიკონის შედგენისას ირბახი სავარაუდოდ, ბერძნულ წყაროს იყენებდა, რითიც აიხსნება წიგნში ქართულის ნაცვლად შეცდომით რამდენიმე ბერძნული სიტყვის არსებობა. რაღა თქმა უნდა, გამოცემის რედაქტორიც ნიკიფორე ირბახი გახლდათ. მას ყველა საქმეში დახმრებას უწევდა „მასთან ყველაზე ახლოს მდგომი“ წარმოშობით ბერძენი თარჯიმანი იოანე-მათე კარიოფილოსი (1586-1669).

„ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ ცენზურის დასტურით იწყება, რომელიც პირველ-მეორე აღუნუსხავ გვერდებზეა განთავსებული. შემდეგ სამ ფურცელზე „პროპაგანდა ფიდეს“ გამგისა და სტამბა „პოლიგლოტას“ უფროსის – აქილე ვენერიოს „მიძღვნა“ რომის პაპის – ურბან მერვესადმი. წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი 1629 წლის 1 აგვისტოს გამოიცა.

სამ სვეტად წარმოდგენილი ტექსტის პირველი სვეტს ქართული სიტყვები შეადგენს, მეორე სვეტში მოცემულია ქართული სიტყვების ლათინური ტრანსკრიპცია, მესამე სვეტში კი განთავსებულია სიტყვების იტალიური შესატყვისები. წიგნში ცალკეა მოცემული ციფრები ქართულ ენაზე სათანადო ტრანსკრიპციითა და იტალიური თარგმანით. გამოცემას ახლავს ანბანური საძიებელი.

1629 წლის აგვისტოში ნიკიფორე სამშობლოსაკენ გამოემართა. მის გარეშე ლექსიკონი მრავალი კორექტურული და შინაარსობრივი შეცდომებით დაიბეჭდა.

საქართველოში აღრიცხულია ლექსიკონის ხუთი ეგზემპლარი, რომელთაგან ორი ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული. აქედან ერთ-ერთი ქართველი საზოგადო

მოღვაწისა და ლექსიკოგრაფის - დავით ჩუბინაშვილის კოლექციის ცალია.

„პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში გამოქვეყნებული ქართულენოვანი ტექსტების ტირაჟის შესახებ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმაა შესაძლებელი. საარქოვო საბუთებში მოცემული ნიხრის მიხედვით: მისიონერებისათვის გადაუციათ „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ 376 ეგზემპლარი, მაღალი რანგის სასულიერო პირებისათვის – 12 ეგზემპლარი, 1696 წლის საშობაო დღესასწაულისათვის სტამბაში ამ წიგნის 346 ეგზემპლარი ყოფილა შემორჩენილი. შესაბამისი მონაცემებია „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ რაოდენობის შესახებ – 157; 12; 145 ეგზემპლარი.

„პროპაგანდა ფიდეს“ არქივში დაცული 1630 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული დოკუმენტის თანახმად: ევროპის ქრისტიანული კულტურის წიაღში აღმოცენებული ქართული გამოცემები საქართველოში წამოიღეს ჯუზეპე ჯუდიჩმა (მილანელი) და არქანჯელო ლამბერტმა (ნეაპოლელი). კათოლიკე მისიონერებმა ალეპოსა და ერზურუმის გავლით 1631 წელს საქართველოში ჩამოაღწიეს.

სამწუხაროდ, გაურკვეველი რჩება ამ გამოცემების სრული ტირაჟი და ჩვენთვის საინტერესო საკითხი, თუ რამდენი წიგნი გამოგზავნეს რომიდან საქართველოში.

ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ რომის კათოლიკური ეკლესია მისიონერების საქართველოში მოღვაწეობას დროებით მოვლენად არ განიხილავდა, თავისი გავლენის განსამტკიცებლად წარმოგზავნილ მისიონერებს ყოველმხრივ უზრუნველყოფდა და მათ რიგებს ახალი კადრებით ავსებდა. „პროპაგანდა ფიდეს“ დაინტერესებული იყო იმჟამად ჩვენში არსებული ქართული ხელნაწერი სასულიერო და საერო ლიტერატურით, მისი სტამბური წესით გამრავლებით. კონგრეგაცია გეგმავდა სასულიერო წიგნების გამოცემას ნუსხური შიფტით. სამწუხაროდ, ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ სტამბაში ნამდვილად ჩამოუსხამთ ქართული საეკლესიო შრიფტი. ამის დასტურია, 1648 წლით დათარიღებული სა-





**XVII და XIX საუკუნეებში ამ შენობაში მდებარეობდა პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის სტამბა, სადაც 1629 წელს, დაიბეჭდა „ქართულ –იტალიური ლექსიკონი“**

არქივო დოკუმენტებში მოცემული ნუსხა ქართული შრიფტის რაოდენობის შესახებ: „საეკლესიო შრიფტი ხუთი ყუთი, წონით ხუთას ოცი გირვანჯა და ტომსიკებში, წონით ორას ოცდა ერთი გირვანჯა; საერო შრიფტი სამი ყუთი, წონით სამას სამოცდაჩვიდმეტი გირვანჯა და ტომსიკებში, წონით ორას სამოცდათერთმეტი გირვანჯა“. ანუ ქართული შრიფტის საერთო რაოდენობა ათას სამას ოთხმოცდაცხრა გირვანჯა გახლდათ, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა ბერძნული, არაბული და ირანული შრიფტების რაოდენობას.

სავარაუდოდ, ჭარბი რაოდენობის შრიფტის ჩამოსხმა შესაძლოა გამიზნული ყოფილიყო საქართველოში ჩამოსატანად, თუმცა მას ჩვენამდე არ მოუღწევია. ერთი კი ცხადია, რომ 1630 წლის 7 სექტემბერს საქართველოში გამოსამგზავრებელი მისიონერებისათვის შედგენილი ინსტრუქციის ტექსტში, ერთ-ერთი პუნქტი ეხება გზაში გაძარცვის საფრთხეს, რისი მსხვერპლიც გამხდარა არაერთი მისიონერი. იქვე ვხვდებით

ცნობას ნიჩეფოროს შესახებ, რომელსაც წაართვეს თითქმის ყველაფერი კარგი, რაც საქართველოში მოჰქონდა. შრიფტის გამოგზავნის შესახებ მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოვთქვათ. ის კი ცხადია, რომ იტალიაში დამზადებულმა სასტამბო მეურნეობამ საქართველოში ეროვნული პოლიგრაფიის განვითარებას ვერ შეუწყო ხელი, მაგრამ პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვის ფაქტი, ქართული კულტურის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ილია ტაბალუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. II. თბ.: მეცნიერება, 1986. – 189 გვ.
2. არნოლდ ჩიქობავა; ჯუანშერ ვათეიშვილი. პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები თბ.: ხელოვნება, 1983. – 624 გვ.
3. მიხეილ თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902.– 512გვ.
4. დავით კარიჭაშვილი. "ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია", 1929. – 118 გვ.

**ბიბლიოთეკები და ადგილობრივი თვითმმართველობა****გიორგი კილაძე****სამოქალაქო ბიუჯეტი და ბიბლიოთეკები  
(გორის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)**

თანამედროვე ქართული კანონმდებლობა საშუალებას აძლევს მოსახლეობას თვალის ადევნოს არა მხოლოდ თვითმმართველობის საქმიანობას, არამედ, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემების აღმოჩენა/გაანალიზებაში და საფუძვლიანი ზეგავლენა მოახდინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემათა ანალიზი, გადაწყვეტილების გზებისა და საშუალებების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებამდე მიტანა და მით უფრო, მასზე ზეგავლენის მოხდენა საფუძვლიან განათლებასთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შემუშავება/დანერგვასაც მოითხოვს.

ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ძირითადი ფორმები და მეთოდები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ორგანული კანონით - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, ხოლო დამატებითი მექანიზმები მოცემულია საკრებულოების დებულებებით (რეგლამენტებით), თუმცა, რამდენადაც სამხუხარო არ უნდა იყოს, მოქალაქეები ნაკლებ ინიციატივებს იჩენენ, შეიძლება ითქვას გაურბიან მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართულობას. ჩვენს მიერ ჩატარებული წინასწარი კვლევის შედეგედად აშკარად ჩანს: მონაწილეობის არჩევნებში მონაწილეობითა და „ხმის მიცემით“ ამოიწურება. დიდი ალბათობით, აღნიშნული დამოკიდებულება,

სავარაუდოდ მოქალაქეთა სათანადო განათლების დაბალ დონეში უნდა ვეძებოთ. რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს გაუბედაობა, საკუთარი უფლებების არგამოყენება განათლების არსებული დონის შედეგია და მის სრულყოფაზე სხვა ორგანიზაციებთან, უწყებებთან, სამსახურებთან ერთად თავად ადგილობრივმა ხელისუფლებამაც უნდა იზრუნოს. საუბარია არა მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივებსა და დადგენილებებზე, არამედ, დაინტერესებულ მოქალაქეთა, საინციატივო ჯგუფებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან შესაბამისი პროექტებისა და პროგრამების, ჩართულობის მოდელების, ფორმებისა და მექანიზმების ერთობლივ განხორციელებაზე.

ერთ-ერთ ამგვარ მექანიზმად, ფორმად, მოდელად უნდა მივიჩნიოთ ბრაზილიის ქალაქ პორტუ-ალეგრიში დაბადებული იდეა „სამოქალაქო ბიუჯეტი“, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება საქართველოშიც, კერძოდ, ქალაქ გორში - 2016 წლიდან, ხოლო 2018 წელს - მთლიანად გორის მუნიციპალიტეტში. ამჟამად, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანების საფუძველზე.<sup>1</sup>

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, სამოქალაქო ბიუჯეტი საქართველოში ჯერ კიდევ სიახლედ ითვლება, სწორედ ამიტომ თავს უფლებას მივცემ შევეხო სამოქალაქო ბიუჯეტის განმარტების საკითხს.


**„სამოქალაქო ბიუჯეტი პირდაპირი დემოკრატიის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო მონაწილეობის ყველაზე მაღალ დონეს. ეს**

<sup>1</sup> გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება № 3322. 14/ივნი/2018 წ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების პროგრამის და მტკიცების შესახება.

**არის მოსახლეობის ჩართვა ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მათი აქტიური მონაწილეობის მეშვეობით“<sup>2</sup>**

სამოქალაქო ბიუჯეტს განხორციელების ეტაპები გააჩნია. სხვადასხვა მოდელისთვის (პორტ-ალეგრეს, პოლონური, ჩიკაგოს და ა.შ.). მათი რაოდენობა სხვადასხვაა. მაგ., გორის მუნიციპალიტეტის მერის აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ „სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების პროგრამაში“, ცალკეა გამოყოფილი სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის წარმოების წესი, რომელიც სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების მხოლოდ 6 ეტაპს მოიცავს და ფორმითა და არა შინაარსით, რადიკალურად განსხვავდება სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტების დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელოში მოცემული სამოქალაქო ბიუჯეტის 8 ეტაპისაგან<sup>3</sup> და მათი გაც-

ციატივის<sup>4</sup> ზუსტი განმარტება სამეცნიერო, საცნობარო, სასწავლო ლიტერატურაში ჯერჯერობით არ არსებობს, რაც შეეხება შინაარს - საპროექტო ინიციატივა არის თაოსნობა რაიმე საქმეში, რაიმე წამოწყებაში განსაზღვრული მიზნებით (მაგ. რომელიმე პრობლემის გადაჭრა), ამოცანებითა და შესრულების ვადებში. მაგ., გორის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მიერ განხილული იქნა მოსახლეობის მიერ შემოტანილი 167 საპროექტო ინიციატივა, საიდანაც სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მიერ მოწონებული და შემდეგ წარმომადგენლობითი საბჭოს (ადგილებზე შეკრებილი მოსახლეობის) მიერ შერჩეული იქნა 76 საპროექტო ინიციატივები, რომელიც მიმართული არის მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა ტიპის პრობლემების გადაჭრაზე.



**ცხრ. 1 - ქ. გორის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში შერჩეული საპროექტო ინიციატივები<sup>5</sup>**

ნობა სხვა ბევრ კითხვასთან ერთად ბადებს ჩვენი აზრით, ერთ მნიშვნელოვან კითხვას: რა არის საპროექტო ინიციატივა და რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს მას ბიბლიოთეკებთან?

წინასწარ შევნიშნავ საპროექტო ინი-

ცხრილი #1 მოცემულია ქ. გორის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში შერჩეული საპროექტო ინიციატივები.

გარკვეული მიზეზების გამო ჩვენ გვერდს ავუვლით ცხრილის თუნდაც ზერეულ ანალიზს. შევნიშნავთ მხოლოდ ერთს **ქ. გორის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის**

<sup>2</sup> იხ. სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტების დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო. თბ. 2018

<sup>3</sup> სტატიის მოცულობა საშუალებას არ იძლევა ამ თანხვედრა/განსხვავებებზე თუნდაც მოკლედ ვისაუბროდ.

<sup>4</sup> ზოგჯერ მას საპროექტო იდეად მოიხსენიებენ

<sup>5</sup> დ. ყიფიანი, 2018, გვ., 55.

**სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობისთვის არც ერთი საპროექტო ინიციატივა არ განხილულა.<sup>6</sup>**

იბადება ლეგიტიმური კითხვა: რა მიზეზები განაპირობებენ საპროექტო ინიციატივების ამგვარ სტრუქტურას და რატომ არ არის სტრუქტურაში ბიბლიოთეკები?

წინასწარ გეტყვი, კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს და მაინც, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და სამოქალაქო ბიუჯეტის შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ: **მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის მაღალი სიზუსტით ირეკლავს (განსაკუთრებით ა, ბ, გ ქვეპროგრამების ნაწილში) მუნიციპალიტეტის პროგრამის პრიორიტეტებს.** დიდი ალბათობით, მსგავსი სიტუაცია სხვა მუნიციპალიტეტებში, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია. მაგ., 1. სამოქალაქო ბიუჯეტის რეგულაციით წინასწარაა განსაზღვრული სამოქალაქო ბიუჯეტის პრიორიტეტები (მაგ., ინფრასტრუქტურული პროექტები, ინოვაციური პროცესების მხარდაჭერა) 2. მოსახლეობა კარგად იცნობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამებსა და პრიორიტეტებს და სამოქალაქო ბიუჯეტით მხარს უჭერს მათ და ა.შ.

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნული კითხვის მეორე ნაწილს (რატომ არ არის სტრუქტურაში ბიბლიოთეკები?). მიმაჩნია, რომ აქ საქმე უფრო რთულადაა. ძნელად წარმოსადგენია ბიბლიოთეკების თემის სამოქალაქო ბიუჯეტში სათანადო არ ასახვას ერთი, თუნდაც, მთავარი მიზეზი ჰქონდეს. შეცვლილი, ფორმითა და შინაარსით გათანამედროვეებული ბიბლიოთეკები მხოლოდ წიგნსაცავები ან/და სამკითხველო დარბაზები რომ აღარ არიან უდავო და დადასტურებული ფაქტია.

ასევე დადასტურებულია ბიბლიოთეკების საზოგადოებრივ სივრცეებად გადაქცევის ტენდენცია და ამ ფონზე მუნიციპალიტეტების სამოქალაქო ბიუჯეტში არასახვის საკითხი კვლევის ობიექტად უნდა იქცეს. შესაბამისად, უნდა დადგინდეს პრობლე-

მის მიზეზები და მოინახოს მათი გადაჭრის გზები და საშუალებები. დარწმუნებული ვარ მიზეზი არც სამოქალაქო ბიუჯეტის „ბუნებაშია“, და არც პრობლემისადმი მოქალაქეების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების არაჯეროვან დამოკიდებულებაშია. მიზეზები უფრო სიღრმისეულია და მათი გამოსავლენათ სპეციალური კვლევა უნდა ჩატარდეს.<sup>7</sup>

კვლევის ჩატარებამდე კიდევ რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემაა საჭირო.

1. რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს სამოქალაქო ბიუჯეტსა და ბიბლიოთეკას იმ შემთხვევაში თუ:

1. ბიბლიოთეკა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პრიორიტეტული მიმართულება?

2. ბიბლიოთეკა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პრიორიტეტული მიმართულებაა არ არის?

3. რამდენად არის ბიბლიოთეკის თემა სამოქალაქო ბიუჯეტის „საქმე“. იმ შემთხვევაში თუ სამოქალაქო ბიუჯეტით მოთხოვნილია:

1. ბიბლიოთეკის დაარსება/აღდგენა (ცალკე თემაა ბიბლიოთეკარის ხელფასი. რამდენადაც სამოქალაქო ბიუჯეტი პროექტის განხორციელების შემდეგ ხელფასების დაფინანსებას არ ითვალისწინებს. საინტერესოა რა გავლენას მოახდენს პრიორიტეტების გამოვლენისას ადგილობრივი სკოლის მასწავლებლების ან/და მოსწავლეების, ახალგაზრდების ინიციატივა პირობითი სახელწოდებით „ერთი დღე/კვირაში ერთი დღე ბიბლიოთეკარად? რა შედეგებს მოგვცემს, ვთქვათ ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და მოსალოდნელი საფრთხეების გამოვლენისას (წიგნების, ჟურნალების დაკარგვა და ა.შ.)

2. არსებული ბიბლიოთეკის საზოგადოებრივი სივრცედ გადაქცევის ხელშეწყობა (ტრენინგები, კინო-ჩვენება/განხილვისთვის აპარატურის ერთჯერადად შექმნა, ბიბლიოთეკის მომსახურეობის სივრცეში ახალი ემიგრანტი მოსახლეობის მოზიდვის

<sup>6</sup> ანალოგიური მდგომარეობაა სხვა წლებშიც და საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში.

<sup>7</sup> დარწმუნებული ვარ კვლევა აუცილებლად ჩატარდება და ჩემი არამხოლოდ პასიური თანამონაწილეობით.



ხელშეწყობა; მოსახლეობის დაინტერესების გაზრდა თანამედროვე ლიტერატურით; საბიბლიოთეკო პროგრამების განვითარება (ვთქვათ სამოქალაქო განათლების თემებით).

3. წიგნებით, ჟურნალებით და ა.შ. ერთ-

ჯერადი მომარაგება?

ამ და სტატიაში განხილულ საკითხებთან დაკავშირებულ ბევრ კითხვას კოლეგებთან კონსულტაციების შემდეგ შევეცდები მომდევნო სტატიებში ვუპასუხო.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. დ. ყიფიანი, მონაწილეობითი ბიუჯეტირება, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი. თბ., 2018.
2. სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტების დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო, „საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის“ (პოლონეთი) პროექტის „დემოკრატიის მხარდაჭერა“, თბ., 2017.
3. დებორა ა. რობერტსონი, კულტურის პროგრამები ბიბლიოთეკებისთვის. ქართულენოვანი გამოცემა. თბ., 2005

**ქართული ემიგრაცია**

**მარიამ მარჯანიშვილი**  
ფილოლოგიის დოქტორი

**„ყოფიერების ამაოებით დაღლილის აღსარება“  
(ემიგრანტთა ეპისტოლეების მიხედვით)**

რეზო გაბაშვილი ცხოვრებას ყოველთვის საღად უყურებდა. ილუზიები არ ანუხებდა, მაგრამ ზოგჯერ ილუზიები ცხოვრებას აადვილებს ხოლმე. მას დოდო მოსწონდა, შეიძლება, თავისებურად, ეგონისტურად უყვარდა კიდეც. ვერ წარმოედგინა უმისობა...

„...კვირაში ორჯელ სკოლა გვქონდა, ვასწავლიდი ისტორიას, გეოგრაფიას, ლიტერატურას და არა მარტო კარგადა სწავლობდა, - თვითონაც მშვენიერად სთარგმნიდა რაბინდრანატ თაგორს. და თავის ლექსებსა და მოთხრობებსაც. საოცარი ნიჭიერი, მგრძნობიერი და ... „არაამქვეყნიური“ იყო... ზ. ავალიშვილს, რომ წავაკითხე (დაუსახელებლად ავტორისა), - მიხვდა - ვინ არ იცოდა და არ ხედავდა ჩვენს მეგობრობას? - ძალიან მოეწონა და ... მაქო, მიქო...“

მამაკაცი ცდილობდა ქალიშვილის ხატებაში ჩაედო საკუთარი სული, სიყვარულის ინსტიქტები, რათა გადაერჩინა ეიფორიასა და იმედების მსხვრევისაგან.

პიგმალიონივით იგი ამილახვრის ასულ-

ში ქმნიდა თავის პოეზიას, პოეტურ აღმაფრენას, რადგან „პოეტი რომ გახდეს, უნდა იყო შეყვარებული ან უბედურიო,“ - როგორც ბაირონი ამბობდა.

ყმანვილ ქალში ჩადებული ადამიანის სულის ათასნაირი რხევა, ათასნაირი ფერი კაცს საკუთარი თავის შესაცნობად სჭირდებოდა, რამეთუ როდესაც ადამიანი ცდილობს გააკეთოს ისეთი რამ, რაც მარტო მას არ მოუტანს სარგებლობას, ანდა კიდეც უკეთესი - სხვას უფრო მეტს სარგებლობას, სიკეთეს მოუტანს, ვიდრე თვითონ მას, მაშინ ის უკვე პიროვნებაა, ხოლო პიროვნების უპირველესი ნიშანი კი ის გახლავთ, რომ პოეტია.

„ ... დოდოსთან ასე ზღაპარი, ათასი პოემა და ლექსი მაქვს მიწერილი, მსჯელობანი ამქვეყნიური თუ ზეციური, მთელი ტომი გამოვიდოდა...“

როცა კედელზე ჩამოკიდებულ რუკასთან ვაჩვენებდი საქართველოს მთებსა, მდინარეებს, ქალაქებს და აუნერე კავკავიდან თბილისამდე გზის მშვენიერებანი,



**მათე, გიორგი კერესელიძეები**

აღტაცებით კიდევ გადამეხვია: „ნეტავ თუ მოვესწრები როდისმე მაგ გზის გავლას თქვენთან ერთად“-ო.

მამაკაცის ტრფობა წამებული დოდოსთან 1926-1944-მდე, 18 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. „როცა ვეტყოდი ხოლმე „ჩემი გახდი“-მეთქი, ყოველთვის მიპასუხებდა: „თქვენი არა ვარო! თქვენს გარეშე არავინ მიყვარსო, მაგრამ როგორც კაცი - არაო, არ შემიდლიან“-ო.

გულუბრყვილოთ სწამდა, და, თითქმის მეც დამარწმუნა, რომ მისი ჩემდამი სიყვარული, „სხვანაირი იყო“ და ჩემი - მისდამი - „სხვა“.

... დოდო, რა გენაღვლება მე მიყვარდე, ეს ხომ შენ არაფერს გავალდებულებს... ნება მომეცი გელაპარაკო, მოგწერო; შენ თუ გინდა, - ერთ ყურში შეუშვი, მეორეში გამოუშვი, ნურაფერს მიპასუხებ, ვითომ შენ არც კი შეგეხება. ვითომ წიგნი წაგეკითხოს უცნობ ავტორისა... მეც ხომ ადამიანი ვარ და უფლება მაქვს ჩემი აზრები მქონდეს, ჩემი გრძნობები, ჩემი სურვილები...

თანდათან ისე დამიახლოვდა... „რანდევებზე“ არა მარტო მოდიოდა სიამოვნებით, გულში მეხუტებოდა და უჩემოდ ნაბიჯს არ სდგავდა: „ყოველ თავის დიდსა თუ პატარა საქმეში ანგარიშს მაბარებდა, არა-

ვითარი საიდუმლოება ჩემგან არა ჰქონდა და სიტყვა მომცა და მტკიცედ ასრულებდა, - რაც უნდა მომხდარიყო, ჯერ მე მეცოდინებოდა და ჩემი რჩევის გარეშე, - არაფერს იზამდა. მეგობარი მეგობარს, ძმა- ძმას ისე არ ენდობოდა, როგორც ჩვენ ვიყავით...“

საერთოდ, თავშენირვა ტანჯვისა და ტკივილის გააზრების მთავრი ფაქტორია. ტკივილს და ტანჯვას მაშინ აქვს აზრი, იგი მაშინ არის სასიამოვნო და ადვილად ასატანი, როცა ისინი ნეფსითი თავშენირვის შედეგი არიან, ხოლო თავშენირვა სიყვარულის აქტი არის; იგი გულისხმობს სიხარულს იმისათვის, რომ იგივე ადამიანი თავის სიცოცხლის ერთ, ზოგჯერ უდიდეს ან უკეთეს ნაწილს იმას უთმობს, ვინც მას უყვარს. ამიტომ „თავშენირვას იანუსის მსგავსად ორი სახე აქვს: ერთი იღიმება, მეორე კი ტირის. იგი იხედება ერთ და იმავე დროს ცრემლების სამყაროსკენ და სიხარულის სამფლობელოსკენ“, - განმარტავენ ფსიქოლოგები.

ასე რომ, მამაკაცს მუდმივად ახლდა შიში - მისი თავის მოკვლის მიდრეკილებისა. ხოლო ქალს შიში მისი დაკარგვისა, როგორც მფარველისა და ნავსაყუდელისა. ამასთან, ქალს, ერთი რამ ღრმად სწამდა: „თუ რამე ვიცი, თუ რამე კარგი მაქვს, თუ რასმე წარმოვადგენ, ეს სულ თქვენგანა მაქვს და ამ ამაგს რომელ ყმანვილზე გავცვლი“-ო...

იმდენი ამაგი გვაქვს ერთმანეთზე დახარჯული, - ჩვენი გაყრა შეუძლებელია“-ო.

დოდო მართალი იყო... მისი მამაკაცი ერთად-ერთი სათაყვანებელი „სულიერი მამა“ იყო მისთვის...

მამაკაცის რწმენით კი „დოდო არა-ჩვეულებრივად დაჯილდოვებული პიროვნება იყო, არა მარტო თავისი მტკიცე, ბუნებრივი ხასიათით, თავგანწირვამდე მოსიყვარულე გულით, ალერსიანი კატუნიასავით და ნიჭიერი. შემიდლიან ვსთქვა, პოეტი -მეოცნებე. მისი სახე ლამაზი იყო არა ფიზიკურად, არამედ იმ სულიერი სინათლით, რომლის მრავალფერობა გასაოცარი სიუხვით ეტყობოდა ყოველ გამომეტყველებაში. ეს ნაზი არსება, თაფლივით ხელსა და პირზე რომ შემოგადნებოდა, გაჭავრებასა და გაცხარებაში ცეცხლივით გულს დაგნავდა და ლახვარივით დაგჭრიდა. (ტყუილად ხომ არ იყო

„ამი-ლახვარი“) ისეთს გეტყოდა სრულიად დაუზოგავად. მასთან უბრალოდ ყოფნა შეუძლებელი იყო, მუდამ „ჩახმახზედ უნდა ყოფილიყავ“, რადგან უმნიშვნელო ხუმრობა თუ ღრმა შენი - აზრი - რამ, არ იცი მასში რა რეაქციას გამოიწვევდა. უმრავლესობა, მეტადრე ნათესავები „გიჟადა“ სთვლიდნენ და გვაფრთხილებდნენ. „გიჟიც იყო თავისი სიფაქიზით ყველასა და ყველაფრისადმი, თავისი სინძინდით, არა ამქვეყნიურ თვისებებით და სისასტიკით.“

თვითმკვლელობაზე ფიქრი ბევრთათვის ლამაზი არტისტული ჟესტი იყო, ხოლო დოდო ამილახვარი თავად იჩქაროდა სიკვდილისაკენ, რადგან მის პესიმიზმს მრავალი წყარო კვებავდა - ნერვული ფსიქიკა, სამშობლოს დაკარგვა, უცხოეთში შეუფერებელი გარემო, დედ-მამის, და-ძმების ტრაგიკული სიკვდილი.

„ქალის ამბავს რას გაიგებ?: ოქტომბერში ძმა მოუკლეს, და, მგლოვიარემ, ცრემლებით რომ დასველებული ვიყავი, - ძლივს ვაშოშმინებდი; ქრისტეშობისთვის რა პირობით გამისტუმრა; იანვარში ლულუს წერილი მივიღე: „ჯვარი უნდა დავინეროთ და დოდო მართო თქვენს ნებასა და კურთხევას უცდისო“. და ოთხ თებერვალს, თურმე, ჯვარი დაინერეს. ოქტომბერი - გლოვა; დეკემბერი - ჩემი ზეცა; იანვარი - ხუმრობა? თებერვალი - სხვისი გაყოლა!? ოთხი თვის განმავლობაში ასეთი მეტამორფოზები გასაგებია?!“ (21.12.).

...სიყვარული ხშირად სცდება, როდესაც საყვარელ საგანში ხედავს იმას, რაც არ არის... მაგრამ ზოგჯერ მხოლოდ სიყვარულივე აღმოაჩენს მასში მშვენიერს ან დიადს, რაც თვალისა და გონებისათვის მიუწვდომელია.

ქალისთვის მამაკაცის სიყვარული მხოლოდ სულიერ მისწრაფებასა და არახორციელ, იდეალურ სიყვარულზე იყო დამყარებული, რომელსაც პლატონურ სიყვარულს ეძახიან.

დოდო ამილახვარს მთელი სამყაროს ბზარები გულზე აჩნდა, ყველას სატკივარს იტევდა, მაგრამ მართობას მაინც ვერ სძლია. პლატონურმა სიყვარულმა და პოეზიის ტრფიალმა მხოლოდ წლებით გადასწია თვითმკვლელობის სურვილი.



მამა-შვილი კერესელიძეები

„ - აკი უსიყვარულოდ ვერ გავთხოვდები“ -ო, მეუბნებოდი, და?

- მიყვარს!“-ო მითხრა თითქო ნიშნის მოგებით, ან ჯინზე... ეკლესიაში წასვლის წინ ხუთი წუთით, - არ ვიცოდი, წავიდოდი თუ არა... გაორებული ვიყავი“-ო.

- რაზე თხოვდებოდი, როგორ მოხდა - მეთქი?

- როგორღაც დავსეირნობდით, ფიქრებში ვიყავი და კიდევ ერთხელა მთხოვა გავყოლოდი ცოლათა“-ო...

...ომში მიდიოდა და უარი როგორ მეთქვა“-ო.

დოდო ამილახვარს პირადი ცხოვრება ისევე მოუწესრიგებელი ჰქონდა, როგორც ნერვული სისტემა.

მარტოსულსა და მიუსაფარს, სევდა უწეწავდა სულს. დეპრესია უსუსტებდა ნერვებს. მისი გაღიზიანებული ფსიქიკა უმძაფრესად აღიქვამდა გარემოს.

„ ... დღესაც ვგრძნობ 25 წლის შემდეგ ჯვრის წერიდან პირველ შეხვედრაზედ, რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა. ხალხის დიდ წვეულებაში ახლად ჯვარ-დაწერილ „ქმრის“ თანდასწრებით გადამეხვია, ჩამეკრა გულში, მკოცნიდა პირზე, თვალებში, იცინოდა, ტიროდა, „ჩემო ბატონო რეზო!“ -ს მეუბნებოდა, და, ჩაცვივით, - რო-

გორც დასაკლავი ხარი ვეზინეში წამიყვანა. მთელი გზა „ქმართან“ კი არა, ჩემთან იყო ჩახუტებული, და, იქ რომ მივედით შუაში ჩაგვიდგა, ორივენი მიგვიკრა, და: „ნეტა ორი თავი მქონდეს, ორივეს თავზე დავდო“-ო და ხან მე, ხან იმას დაადებდა თავს.“

ზოგჯერ, ორი თითქმის დიამეტრულად სანინაალმდეგო ბუნების მამაკაცი თითქოს ავსებს ერთმანეთს და მათი განცალკევებით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოდგენა რაღაც არსებითს აკლებს ორივეს. დოდო ამილახვარი ქალური ინსტიქტით ამას კარგად გრძნობდა.

„დოდო ამ დროს უკვე 24 წლისა იყო, მაგრამ სახითა და გულით 18 წლის უმანკოსა ჰგავდა, მანეკენობით გალამაზებულსა; ტანით სულ მომნიფებელიყო და ღვთის ნაძერწ ქანდაკებას დაემსგავსა, შოლტივით მოქნილს; ცოცხალს, მკერდი - სალოცავ გუმბათებს, კანჭები - სურათებს, მთლათ - სურათს; ხასიათით, - ჯერ ბავშვობიდან გამოუსვლელისა ჰქონდა.

... ჰოდა, აქ მოხდა მეორე ამბავი. ქართველ ქალებში მე მუდამ ერთგვარ „პროპაგანდას“ ვეწეოდი: გათხოვდით, შვილები იყოლიეთ, მიწას ტყუილად ნუ ამძიმებთ“-მეთქი. და დოდომ ერთხელ საიდუმლოდ გამაცნო „ვთხოვდები... ლულუ კერესელიძეზე“-ო.

ხშირად ჩვენ ვხედავთ, რომ მამაკაცი დიდი არაფერია, ქალი კი ჩინებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიცით ამ მამაკაცის დაფარული ღირსება, რომელიც ამ ქალმა დააფასა. ეს შერჩევითი სიყვარულია და ალბათ, სწორედ ეს არის ნამდვილი სიყვარული. დოდოს ყოველთვის ამდიდრებდა რეზო გაბაშვილის სიყვარული.

იგი ცხოვრებასა და სიყვარულში გაორებული იყო. მის სულიერ ტკივილს კიდევ ერთი უბედურება დაემატა:

„25 დეკემბერს მთელმა ლეგიონმა დიმიტრი (ბაზორკა) ამილახვრის პატივსაცემად მგლოვიარობის ნიშნად შავი საყელოები ჩამოიკიდა. პოლკოვნიკ ამილახვრის მეუღლე ბავშვებიანად დაპატიჟებული იყო საშობაოდ ლეგიონერებთან ორლიანში...“

ვილიამის ავტო იყო დიდი, წინ მძლოლი იჭდა, გვერდით ბება, ოთარი, უკან თამარი, ბებას უფროსი და ელისო, რომელიც ინგლი-

სელზე იყო გათხოვილი და ალექსანდრიაში ცხოვრობდა. მანქანა ძლიერ სწრაფად მიდიოდა, წინა საბურავი გასკდა, მიმართულება დაკარგა და ხეს დაეჭახა. ამ დარტყმამ მოგლიჯა მგზავრების საჭდომი... ელისომ იმ წუთას გაათავა სიცოცხლე, ბებამ ორი დღე იცოცხლა ჰოსპიტალში და ისიც გარდაიცვალა, მხოლოდ ბავშვები გადარჩნენ. ორივე დაასაფლავეს სამხედრო წესით. დე გოლი და სხვა გენერლებიც იყვნენ გასვენების დროს რუსების სობოროში“ (თარხნიშვილის შ., მოგონება, ჟურ. „ქართული ემიგრაცია“ N3(6), 2015, გვ. 204-205, თბილისი).

სწორედ, დოდოს თავზე დატეხილ ამ უბედურებაზე წერდა ლულუ კერესელიძის მამა გიორგი კერესელიძე თბილისში თავის დას: „საწყალ დოდოს მოუკლეს ბრძოლის დროს ერთი ძმა (დიმიტრი-ბაზორკა) - დიდი გმირი ფრანგების ჯარში. მის სახელზე მთელი სამხედრო დაწესებულებები არსებობს. მალე სხვა ფრონტზედ მეორე მისი ძმა დაავადდა და მოკვდა. შემდეგ მისი ძმის ცოლი (დიმიტრისა) ავტომობილის უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. დარჩა ორი ბავშვი ობოლი. ორივე საფრანგეთის სახელმწიფომ აღზარდა. საერთოდ, დოდო დიდი წერვიანი იყო - რა დატრიალდა მის სულში! ვინ იტყვის. მისი ძმისწულები ჩვენთან იყვნენ. ბაღში ბავშვებთან ლულუ, დოდო და წინო თამაშობდნენ. დოდო მხიარულად იყო. დილით მე ბაღში ყვავილებს ვკრეფდი. დოდო გამოვიდა სახლიდან, ჩქარის ნაბიჯით გავიდა ქუჩაზედ და ახლო რომ გამიარა, რაღაცა მითხრა, ვერ გავიგონე სწორედ. ვიფიქრე: ალბათ მითხრა, პატარა გიორგი სალონიშია მარტო, მიხედეთ, მალე მოვალო. გამოვიყვანე ბავშვი ბაღში და ვათამაშებდი. დრო გადიოდა, დოდო არსადა სჩანდა. ტელეფონით შევეკითხე ყველა ნაცნობებს: „დოდო თქვენთან ხომ არ არის - მეთქი. არსად იყო. პოლიციაში გავიგე: ერთმა ქალმა წყალში თავი დაიხრჩო, აი მისი ფეხსაცმელებიო. ეს ფეხსაცმელები ვიცანი, მე თვითონ ვუყიდე ორიოდ დღის უწინ. როცა ლულუ დაბრუნდა და ვუთხარი დოდოს ამბავი - ნაიქცა და თავს იატაკს ახლიდა. შევეუტიე - ვუთხარი: ლულუ, ან უნდა ეხლავე თავი მოიკლა ან და იფიქრო, რომ პატარა გიორგის და წინოს პატრონობა უნდათ!



გაჩუმდა, წამოდგა ფეხზე და ამის აქეთ დოდოს შესახებ ხმა აღარ ამოუღია. ხოლო შვილს კი დედის კულტს უნერგავს.

გიორგი მაღალი ტანის ბიჭი იზრდება. ჭკვიანი, ნიჭიერი და ჭკუა მახვილია, მოსწრებული პასუხით“ (კერესელიძე გ., ვებინე 16 მაისი, 1958).

... დოდოს გვამს ხუთი დღე ეძებდნენ მდინარეში... ვის გამოუტანა ასეთი სასტიკი განაჩენი ამილახვარის ამაცმა ქალმა: საკუთარ არსებაში ჩაბუდებულ დემონს, მეუღლეს თუ მის მფარველს?!

...ან იქნებ, მამაკაცის სულში ჩაბუდებული „ადამიანი მესაკუთრის“ ბუნება ვერ აიტანა მისმა თავისუფლების მოყვარულმა სულმა და შერყეულმა ფსიქიკამ?!

მისი უგონოდ თაყვანისმცემელი რეზო გაბაშვილი სიკვდილამდე ფიქრობდა ქალის აუხსნელ ქმედებაზე. მათ უცნაურ სიყვარულზე მითები და ლეგენდები, რომ არ შექმნილიყო: „ბოლოს გარდაცვალებამდე თოთხმეტი თვით ადრე „პარიზის გაყინული“ საზოგადოებისაგან ზურგმექცეულმა, ადამიანურ ურთიერთობებს დანატრებულმა პეტრე ხვედელიძეს თავისი აზრი გაუზიარა, რაც მანამდე არასოდეს არავისთვის უთქვამს - „... წაიკითხო და მეგობარივით იცოდე-ო...“

და, როგორც ადრესატი აღნიშნავს: „სწორედ ამ რომანივით წერილზე მინაწერმა მაფიქრებინა - დაე, ფართო მკითხველმაც წაიკითხოს და... მეგობარივით იცოდეს...“

„ეს აღმოჩენა, შეიძლება ჩემთვის იყო მარტო, და, ასე ვეძახი მხოლოდ იმიტომ, - არავისაგან გამიგონია, არც სადმე წამიკითხავს, თუმცა, მგონი, არ არის დარგი და „ქალთა საკითხებზე მეტადრე, - არ მესწავლოს... რადგან ერთ დროს მინდოდა ექიმობა და გატაცებული ვიყავი - მედიცინითაც.“

ჩემი აღმოჩენა სულ სხვა სფეროსია, - ხშირად კი არა, მეტისმეტად იშვიათად, ათასში ერთხელ, ფიზიკურ ქალწულობასთან ქალი არა ჰკარგავს სულიერ ქალწულობასაც. პირიქით, ათასობით შემთხვევაში, უმრავლესად და უამრავად, ქალი ამ ორივე, სულ სხვა და სხვა რიგის მოვლენას, ერთადა ჰკარგავს. ე.ი. იცვლება ფიზიკურად კი არა მარტო, არამედ სულიერადაც

და სხვა ადამიანი და პიროვნება ხდება; ბევრად დაქვეითებული. წინააღმდეგი შემთხვევა იმდენად იშვიათია, რომ ისტორიულად ცნობილია მხოლოდ ერთადერთი, ღვთიშობლისა, - უბინოდ რომ დარჩა შვილის შობის შემდეგაც. მართალია, ქალი გათხოვების შემდეგ, ყალიბდება უმეტეს შემთხვევაში ქმრის ყაიდაზე, მაგრამ მაინც რჩება - ძალიან იშვიათად - სულიერად ქალწული. აი, ეს არის ჩემი „აღმოჩენა“, და, მიკვირს რომ არც ისტორიულ, არც არქეოლოგიურ, არც მედიკურ ან ფსიქოლოგიურ წიგნებშიაც ამის ნიშან-წყალი, ჩრდილი ან კვალიც, არ შემხვედრია...“

ალბათ, ქალიშვილის სათნოება ის კი არ არის, რომ ბავშვივით არა იცოდა რა, არამედ ის, რომ მან ბალღურად იცოდა და, ამ ცოდნაში, წმინდა და ქალწულებრივი რჩებოდა...

ამ თვალსაზრისით „დოდო არა-ჩვეულებრივად დაჯილდოვებული პიროვნება იყო, არა მარტო თავისი მტკიცე, ბუნებრივი ხასიათით თავგანწირვამდე მოსიყვარულე გულით...“

განა განსაკუთრებული ბედნიერება არ არის, როდესაც ქალი, რომელიც გიყვარს, ახალგაზრდაც არის, ლამაზიც, გონიერიც და რბილი ხასიათისაც. როცა საკუთარ შეხედულებებს მასში უფრო თბილ და ემოციურ ფორმებში ხედავ...

ბოლო დროს დოდოს მიმართ უცნაური გრძნობა დაეუფლა რეზო გაბაშვილს: „გასაშტერებელი ამბავია, - გათხოვებიდან სიკვდილამდე პერიოდში - დოდო აღარ მიყვარდა, და, ვიზედაც „მზე და მთვარე ამომდიოდა“, - სრულიად უცხო გახდა ჩემთვის“ (ჭერვალიძე ც., პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით, თბ. 2012).

მართლაც, სიყვარულს ათასობით ასპექტი აქვს, და ყოველ მათგანს - თავისი სინათლე, თავისი ნუხილი, თავისი ბედნიერება და თავისი კეთილსურნელოვნება ახლავს...

მსგავს უგონო სიყვარულზე ჭეშმარიტად აქვს ნათქვამი ვაჟას: „სიყვარულზე მეტი ჭირი და ლხინი ღმერთს არა გაუჩენია-რა“.

**გაგრძელება, დასაწყისი იხ. ჟურნალ საქართველოს ბიბლიოთეკა N23 (76) 2019**

## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება - 140

### რუსუდან ნაქაძე

### გიორგი იოსელიანი

იოსელიანი გიორგი ნიკოლოზის ძე ქართველი საზოგადო, მოღვაწე, პედაგოგი. დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია. მუშაობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1873 წელს დაითხოვეს სემინარიიდან, როგორც „არაკეთილსაიმედო“ პირი. 1873-89 წ.წ. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში მუშაობდა მასწავლებლად, შემდგომ სათავადაზნაურო სასწავლებელში და თბილისის პირველ გიმნაზიაში. სიცოცხლოს ბოლო წლები კი ხაშურის გიმნაზიაში მასწავლებლობდა.


პრესის ფურცლებზე ბეჭდავდნენ „წყალტუბოელის“ ფსევდონიმით. რამოდენიმე წელი იმუშავა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. საზოგადოების დავალებით, ი. ჭყონიასთან ერთად, პირადად ხელმძღვანელობდა ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენებას (1893წ. 25 აპრილი). მოღვაწეობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, ბავშვებისათვის გადმოაკეთა „ვეფხისტყაოსანი“. (ქსე, ტ.4).

იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის გულითადი მეგობარი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე გიორგი იოსელიანი დაიბადა 1847 წელს სოფელ წყალტუბოში.

სწავლობდა ჯერ ქუთაისის, შემდეგ წყალტუბოს სასულიერო სემინარიაში, რომლის სრული კურსი 1865 წელს დაამთავრა ამ დროისათვის გიორგი იოსელიანი უკვე იცნობდა იაკობ გოგებაშვილსა და ნიკო ცხვედაძეს.

სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ იგი, ნიკო ცხვედაძესთან ერთად, როგორც წარჩინებული მოსწავლე, სახელმწიფო ხარჯით გაგზავნეს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში.

გ. იოსელიანი და ნ. ცხვედაძე აკადემი-



ის დასრულების შემდეგ მასწავლებლებად დანიშნეს თბილისის სასულიერო სემინარიაში. ახლგაზრდა მასწავლებლებმა ახლო ურთიერთობა დაამყარეს იაკობ გოგებაშვილთან, რომელიც 1868 წელიდან სემინარიასთან არსებული სასწავლებლის ინსპექტორად მუშაობდა.

სოფრომ მგალობლიშვილი იგონებს: „თომა ტურიაშვილის შემდეგ გამოამწესეს ჩვენს სემინარიაში მასწავლებლად გიორგი იოსელიანი და ნიკო ცხვედაძე... ამათ მოსვლიდან სრულიად ახალი ხანა დაიწყო სემინარიაში, საგნებს ასწავლიდნენ კარგად,

შეგირდებს ადამიანურად ეპყრობოდნენ, გვაძლევდნენ საკითხავ წიგნებს, გვაყვარებდნენ სამშობლო ენას და ლიტერატურას, მით უმეტეს, რომ ლიტერატურაში ისინი მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ. განსაკუთრებით დიდი ზნეობრივი გავლენა იქონია მოსწავლეებზე იმ გარემოებამ, რომ გ. იოსელიანი დაინიშნა სემინარიის ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად, რომელსაც ერთ წლამდე ასრულებდა ივ. კუვიშინსკის დანიშვნამდე მაშინ სემინარია სრულიად ქართულს სასწავლებელს წარმოდგენდა, ქართული სული ედგა, ქართულად ჰფეთქდა.“

1873 წელს, 9 დეკემბერს თბილისის სასულიერო სემინარიის გამგებლობისადმი კავკასიის მეფისნაცვალს გამოუგზავნია სია არაკეთილსაიმედო პირთა, რომლებიც საზოგადოებრივ სამსახურში არ გამოდგებოდნენ. ამ პირთა შორის დასახელებულნი არიან: თომა ტურიაშვილი, ნიკოლოზ ცხვედაძე, კონსტანტინე ცხვედაძე, გიორგი იოსელიანი, იაკობ გოგებაშვილი.

დოკუმენტში აღნიშნულია: „გიორგი იოსელიანი, დაამთავრა სასულიერო აკადემიის კურსი 1870 წლის ივნისში და იმავე წელს, სექტემბერში დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიაში ლოგიკის, რუსული სიტყვიერებისა და რუსული ლიტერატურის მასწავლებლად. 1873 წლის ივლისიდან დათხოვნილია სემინარიიდან. ამჟამად ასრულებს საღვთო სჯულის მასწავლებლის მოვალეობას თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში“.

1873 წლიდან 1889 წლამდე გ. იოსელიანი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის მასწავლებელია. აქ იგი ასწავლიდა რუსეთისა და მსოფლიო ისტორიას, რუსულ სიტყვიერებას, ლოგიკას და სლავურ ენას.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი ალ. მირიანაშვილი გადმოგვცემს ერთ ეპიზოდს გიორგი იოსელიანის სამასწავლებლო ინსტიტუტში მოღვაწეობის პერიოდიდან.

„ერთხელ სამასწავლებლო ოთახში ინსტიტუტის დირექტორს დ. კოლოვიჩს, იანოვსკის ქვისლს, დაუწყია ქართველების ძაგება და მტკიცება, რომ მეგრულე-

ბი ქართველები არ არიანო. გ. იოსელიანი ძლიერ აღელვებულა და შეკამათებია დირექტორს მოსწავლეთა თანდასწრებით და ყველა მისი მოსაზრება გაუქარწყლებია. ეს გამხდარა მიზეზი, რომ დირექტორსა და გიორგის შორის კეთილი განწყობა შეირყა და საქმე იქამდის მივიდა, რომ სამსახურში მისვლა ძალიან ემძიმებოდა და მალე მიატოვა კიდეც.“

თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტიდან გამოსვლის შემდეგ გ. იოსელიანი სათავადაზნაურო სასწავლებელში მასწავლებლობდა, აგრეთვე თბილისის პირველ გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულ ენას. სიცოცხლის ბოლო წლები ხაშურში გაატარა და გიმნაზიაში განაგრძობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. აქვე გარდაიცვალა 1919 წელს.

იოსელიანის ყოფილი მოსწავლე მოგვითხრობს: “1883 წლის ენკენისთვე იყო. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში მისაღები გამოცდები გათავდა.

...გაკვეთილების ცხრილი როცა გამოირკვა, აღმოჩნდა, რომ სასწავლებელში ქართულ ენას ადგილი არ ჰქონდა. მოვილაპარაკეთ ქართველებმა მაღალი კლასის მოსწავლეთა თანდასწრებით და გადავწყვიტეთ, გვეთხოვა გ. იოსელიანისათვის, ესწავლებინა ჩვენთვის ქართული ენა, ან მეექვსე გაკვეთილზე, ან ნასადილევს., რაკი სხვა დრო არ გვრჩებოდა და აეხსნა ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“ მაინც, თუ სხვა მასალისთვის დრო არ დაგვრჩებოდა.

... მართლაც,

შევუდექით “ვეფხისტყაოსნის” შესწავლას. მისი, პედაგოგისათვის დინჯი ხასიათი, ღმობიერი მოპყრობა ბავშვებისადმი, გაკვეთილების დალაგებით, მეთოდური ახსნა და ბევრისხვა ღირსებანი გვაგრძობინებდნენ, რომ ის იყო ჩვენთვის საუკეთესო მასწავლებელი, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი სიამოვნება, ჩვენდა სამწუხაროდ, იძულებულნი გავხდით, სამშობლო ენის სწავლის სურვილი ჩვენსავე გულში ჩაგვეხშო, რადგანაც ინსტიტუტის დირექტორმა დ. კოლოვიჩმა ასეთი მეცადინეობები აკრძალა.

„მის მუდამ შინაარსიან და წამახალი-

სებელ გაკვეთილებს თან სდევდა ერთი ფრიად შესანიშნავი და საოცარი თვისება - სამაგალითო დისციპლინა ეს ნამდვილი სული და გული ყოველი სასკოლო მეცადინეობისა. საკვირველი ის იყო, რომ დისციპლინისათვის გიორგის არ სჭირდებოდა არც მრისხანე სახის გამომეტყველება, არც ბრძანების კილო, არც, მით უმეტეს, მუქარა და სხვა პოლიციური საშუალებანი, იგი მის გაკვეთილზე მყარდებოდა თავისთავად, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად.“

ამიტომაც ყველა მოსწავლეს, განურჩევლად ეროვნებისა, უყვარდა გიორგი იოსელიანი და პატივს სცემდა მას“

1916 წელს ჟურნალმა „განათლებამ“ აღნიშნა გიორგი იოსელიანის პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავი. ჟურნალში ლ. ბოცვაძემ გამოაქვეყნა გიორგი იოსელიანის ბიოგრაფია და ყოფილი მოსწავლეების მოგონებები ღვაწლმოსილ მასწავლებელზე.

„ როცა გონების თვალთ უკან მოვიხედავ და გავითვალისწინებ ჩემს წარსულს, ბავშვობას, ყმანვილობას, სწავლა-აღზრდას, გავიხსენებ ვის რა ჩაუნერგავს ჩემს არსებაში, ვის რა კეთილი უჩვენებია და გაუგონებია, ვინ იყო უწარჩინებულესი ჩემ ხელმძღვანელთა შორის - უნებლიეთ წინ მეხატება გიორგი იოსელიანის ახალგაზრდობის მშვენიერ, სათნო სახე“ - იგონებს ალ. მირიაშვილი.

გ. იოსელიანი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ და ლიტერატურულ

ცხოვრებაში; წერდა და აქვეყნებდა წერილებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში: „მნათობი“, „ივერია“, „ნობათი“. „დროება“, „განათლება“. მუშაობდა ქმნკგ საზოგადოების გამგეობაში, ამონებდა ამ საზოგადოების სკოლებს და მასწავლებლებს უზიარებდა საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებას, უჩვენებდა მეთოდურ გზებს წარმატებების მოსაპოვებლად.

ქმნკგ საზოგადოების დავალებით გ. იოსელიანი და ალ. ქყონია პირადად ხელმძღვანელობდნენ ნ. ბარათაშვილის საფლავის გახსნას განჯაში და მისი ნეშტის ჩამოსვენებას თბილისში 1893 წლის 25 აპრილს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. იოსელიანის მოღვაწეობა საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში, სადაც საყმაწვილო მოთხოვნებს აქვეყნებდა. აგრეთვე ცნობილია, როგორც ავტორი სახელმძღვანელოებისა, რომლებიც გამოიყენებოდა სკოლებში.

აი, ასეთი იყო გიორგი იოსელიანი - აზოგადო მოღვაწე, განათლებული მასწავლებელი, უანგარო მსახური ქართველი ერისა.

#### ლიტერატურა:

სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული I, 1953.

„განათლება“- 1916 წ. მასწავლებლები, კრებული I, 1953.

„განათლება“- 1916 წ. №8-9, გვ.531-535.

ბოცვაძე, ლ.- გ. იოსელიანის ბიოგრაფია, ჟურნ. „განათლება“, 1916.

ლია გიგაური

## გიორგი ყაზბეგი



ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დროულად აანთო საქართველოში ის დიდრონი ლამპარი, რომელსაც გარე თუ შიდა მტრის „რუდუნებითი შრომით“ გამეფებული სიბნელე უნდა გაეფანტა, ხოლო კანდელაკები, ანუ მელამპარენი ის გამოჩენილი კაცები უნდა ყოფილიყვნენ, საქართველოს გაციებულ გულს რომ გაათბობდნენ და ხელახალი ძალით ააძგერებდნენ, რადგან მამულიშვილურ სიყვარულს მოკლებული, ოდენ ქონებისა და პატივის მოხვეჭაზე მოფიქრალი წინამძღოლი ვერც ამ დაწესებულებას შთაბერავდა სულს და ვერც გაგულგრილებულ და გულარძნილ საზოგადოებას განაწყობდა გულმოდგინე საქმიანობისათვის.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მოამზადა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და პირველ ადგილზე ერის თვითგამორკვევის საკითხი დააყენა, რითაც ქართველ ერს მოუწოდა, საკუთარი თავის მეჩირადდნობა თვითონ ეკისრა. ტყუილად კი არ უწოდა

ქართველთა ამაგდარმა მასწავლებელმა და განმანათლებელმა - იაკობ გოგებაშვილმა ამ საზოგადოებას „სამეცნიერო აკადემია“, რომელიც 1904 წელს, დაბადებიდან 25-ე წლისთავზე, „ქართველთა ეროვნულ თავშესაფრად“ მოინათლა. შემთხვევითი, უსაგნო და საფუძველს მოკლებული არ იყო აგრეთვე ეროვნული ისტორიის მესაძირკვლის - ივანე ჯავახიშვილის განცხადება, სადაც თითოეულ ჩვენგანს ამ დაწესებულების თვალის ჩინივით გაფრთხილებისკენ მოუწოდებდა, რამეთუ ნ. კ. გ. საზოგადოების პირველი სახალხო სკოლა სწორედ მის კერაზე, სწორედ მის სოფელში-ხოვლეში იყო გახსნილი გიორგი ჯავახიშვილისა და მისი მეუღლის-მარიამ მამაცაშვილის დიდი ძალისხმევითა და სიბეჯითით.

ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოების მრავალმხრივ ნაყოფიერ საქმიანობას (მასში შედიოდა ეროვნულ პროგრამაზე აგებული სახალხო სკოლების გახსნა, წიგნების გამოცემის საქმე, ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების დაარსება, ქართული ხელნაწერების შეკრება-დაცვა, მუზეუმების დაფუძნება, ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების შესწავლა-გაფრთხილება, ფოლკლორის შეგროვება, საზოგადოების ხარჯზე ახალგაზრდების სასწავლებლად გაგზავნა რუსეთსა და ევროპის უნივერსიტეტებში, საზოგადოების ფონდების საქველმოქმედო მიზნებით გამოყენება - გაჭირვებულთა დახმარება, მასწავლებელთა ხელშეწყობა, ინვენტარის შექმნა, საქველმოქმედო საღამოების გამართვა, იუბილეების გადახდა და კიდევ ბევრი სხვა სამამულო საქმე) სათავეში ერის თვალსაჩინო კაცები ედგნენ - დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, ლუარსაბ ბოცვაძე, პეტრე სურგულაძე, გიორგი ყაზბეგი, დავით კარიჭაშვილი და სხვანი. ისინი დახმარებას იღებდნენ მოსახლეობის შემოწირულობათა და მეცენატების(დავით სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, ილია ოქრომჭედლიშვილი, გიორგი ქართველიშვილი, ნიკო-

ლოზ ლოღობერიძე და სხვ.) მხრიდან. სამშობლოსა და ამ საზოგადოებისადმი მათი კეთილშობილი ნამსახურობის შესახებ ბევრი რამ ნაგვიკითხავს და გვსმენია, თუმცა ზოგიერთ მათგანზე ცნობები მაინც მწირია და მოსაძიებლად იოლი არ არის. მათ რიცხვში არის ერთი გამორჩეული ბიოგრაფიის მქონე ადამიანი, ყაზბეგთა(ჩოფიკაშვილთა) გვარის ჩამომავალი, ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი - გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, რომელიც ნ. კ. გ. საზოგადოებას 1908 წლიდან 1921 წლამდე თავმჯდომარეობდა. ერთი შეხედვით, მას, როგორც რუსეთის გენერალ-ლეიტენანტს (თერგდალეულ გენერალს), კადეტთა კორპუსგამოვლილს ახალგაზრდობიდანვე დიდი პატივი და სახელი უნდა რეგებოდა. მით უმეტეს, რომ რუსეთის გენშტაბის სამხედრო აკადემიაც ჰქონდა დამთავრებული და ნამსახური იყო ბაქოსა და ლატვიის ქვეითთა პოლკის მეთაურად, გენერალ-მაიორის წოდების მიღების შემდეგ კი ვარშავის ციხე-სიმაგრის შტაბის უფროსად და კომენდანტად(უკვე, როგორც გენერალ-ადიუტანტი), 1905 წელს( რუსეთ - იაპონიის ომის დროს) მონაწილეობდა პორტ - არტურის დაცვაში და შემდეგ ვლადივოსტოკის კომენდანტურაში კომენდანტის ადგილზე იყო გამწესებული. თუმცა, მიუხედავად ამ თავდადებული და ერთგული სამსახურისა(რამდენჯერმე დაიჭრა აგრეთვე აჭარის რეგიონში რუს-თურქთა შეტაკებების ჟამს), რუსეთის საიმპერატორო კარმა მაინც არ დაუფასა მას ეს ღვაწლი და ვლადივოსტოკში აჯანყებული ჯარისკაცებისადმი გამოჩენილი ჰუმანურობისათვის მკაცრად დასაჯა. „ხალხს ყოველთვის უნდა ესროლო, გენერალო!“-უთქვამს მისთვის განრისხებულ ნიკოლოზ მეორეს და უბრძანებია მისი დათხოვნა, რის შემდეგაც რუსეთისათვის ნაბრძოლ-ნაღვანი გენერალი მცირე პენსიით „დააჯილდოვეს“ და სამშობლოში გამოისტუმრეს. აი, რას წერდა აღშფოთებული მაქსიმ გორკი ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით: „წესიერება როგორადაც არ უნდა გამოვლინდეს, დანაშაულად ითვლება იმ ქვეყანაში, რომელსაც, როგორც ცნობილია, მართავენ მინისტრები, ვინც გლეხებს შვრიასა და პურს ჰპარავს, ქვეყანაში, სადაც მეფე გე-

ნერლებისაგან ამზადებს მკვლელებს და მკვლელობისაკენ აქეზებს მათ კლასიკური ცინიკური ფრაზით, რომლითაც მან მიმართა გენერალ-ლეიტენანტ ყაზბეგს ვლადივოსტოკის გარნიზონის ჯარისკაცების მშვიდობიანად დაშლის თაობაზე მოხსენების შემდეგ:“ხალხს უნდა ესროლო, გენერალო!“

გიორგი ყაზბეგი 1906 წელს დაბრუნდა საქართველოში, თუმცა იდეურად იგი არც არასდროს დაშორებია მას. ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდამ დაწერა ნაშრომი „ქართველ ეგერთა ლეგიონის სამხედრო ისტორია“, რომელსაც დიდად აფასებდა ილია ჭავჭავაძე. კადეტთა კორპუსში მყოფ გიორგი ყაზბეგს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა თერგდალეულებთან და 60-იანელთა საზოგადოების ერთ-ერთი წევრიც იყო.

1867-68 წლებში გიორგი ყაზბეგმა გამოაქვეყნა ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი „იტალიელები კავკასიის შესახებ“(მე-13-17 სს.-ების იტალიელი მოგზაურების- პლანო კარპინის, მარკო პოლოს, ბარბაროს, კონტარინის, პიეტრო დე ლა ვალეს, ლამბერტის ცნობები). როგორც ვხედავთ, მისი აზრები სამშობლო ქვეყნის ისტორიას დასტრიალებდა. ამის კიდევ ერთი დადასტურება ისიც გახლავთ, რომ სამუსლიმანო საქართველოში რუსეთიდან იქაურობის დაზვერვის მიზნით გაგზავნილი სამხედრო ინჟინერი დიდ დროს ადგილობრივთა ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიული ძეგლების დათვალიერებასა და მათი მდგომარეობის შესწავლას უთმობდა. თვალს თუ გადავავლებთ მის წიგნს „სამი თვე თურქეთის საქართველოში“, მაშინვე მივხვდებით, რომ ეს ისტორიული მოგზაურობაა აჭარაში, რომელიც იმ დროისათვის თურქეთის სანჯაყს წარმოადგენდა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ხულოს მედრესეებსა და აჭარაში შემორჩენილ ერთადერთ ქრისტიანულ ტაძარზე - სხალთის ეკლესიაზე. „აქ საქმეს გამონახავს სწავლული მოგზაურიც და უბრალო ტურისტიც“,- წერს ერთგან და აღწერს ერთმანეთის შესახვედრად ჯამეებში მისული ხალხის გარეგნობასა და იერარქიულ მდგომარეობას, მათს გურულ ტანსაცმელსა და „რელიგიის მხრივ საკმაოდ მკაცრ მუსლიმანობას“. ყურადღებას იქცევს შავშეთის აღწერა. უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის ქა-



რთული სოფლების შესახებ ყველაზე ზუსტ ცნობებს სწორედ გურიელის ამაღლაში მყოფი ყაზბეგი გვანჯდის.

საქართველოსა და თავის მხარეზე ზრუნვა გიორგი ყაზბეგმა ჯერ კიდევ 1882 წელს თადარიგში გასვლისას დაიწყო. აქ მან გააგრძელა ძმის - დიმიტრი ყაზბეგის მიერ დაწყებული საგანმანათლებლო საქმიანობა. საკუთარ სახლში დის - ელისაბედის (ლიზა ყაზბეგი) თანადგომით დააარსა დაწყებითი სკოლა, სადაც თვითონაც მასწავლებლობდა. რას წარმოიდგენდა მაშინ გენერალი გიორგი ყაზბეგი, რომ გავიდოდა კიდევ 26 წელი და იგი ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოების თავმჯდომარედ დაინიშნებოდა. დიას, 1908 წელს იგი ამ დაწესებულების ხელმძღვანელობას შეუდგა და რაოდენი ბედნიერებაა, რომ ჩვენ დღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ნ. კ. გ. საზოგადოების გაციფრებული კოლექციით სარგებლობის საშუალება გვეძლევა - ხელი მიგვიწვდება ამ საზოგადოების სხდომების ოქმებზე, ანგარიშებზე, წერილებზე, დეპეშებზე, საზოგადოდ, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი საქმიანობის პერიპეტიებზე, რომელთა დიდი ნაწილი სწორედ 1908-1921 წლებზე მოდის, ე. ი. იმ პერიოდზე, როცა საზოგადოების მუშაობას გიორგი ყაზბეგი წარმართავდა.

უნებლიედ მახსენდება მაშინდელი სამსახურისათვის აუცილებელი პოლიტიკური კეთილსაიმედოობის საბუთი, რომელიც მასწავლებლებსაც უნდა წარედგინათ, რათა საზოგადოების მიერ ახლად გახსნილ სკოლებში პროფესიულ საქმიანობას შესდგომოდნენ. 1908 წელს ნ. კ. გ. საზოგადოებამ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოაქვეყნა განცხადება საგურამოს სკოლის მასწავლებლის თაობაზე. „თ-დ ილია გრიგორის - ჭავჭავაძის მიერ დატოვებული ანდერძის მიხედვით და კნეინა ოლღას სურვილის თანახმად, მთელი უძრავ-მოდრავი ქონება, როგორც საგურამოში, ისე წინამურში და თბილისის სახლი ილიას მოკვლის შემდეგ ნ. კ. გ. ს. გამგეობის ხელში გადავიდა. ამ მამულის წარმოება ალ. ყიფშიძეს (ფრონელი) მიანდეს, აგრეთვე მას უნდა გაეხსნა საგურამოში, ილიას მამულში, სკოლა, დაენიშნა მოურავი და ა. შ.

საგურამოს სკოლა ნ. კ. გ. საზოგადოებამ 1909 წლის 9 იანვარს გახსნა. ამას მოჰყვა უამრავი სკოლა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. სკოლების გამრავლებამ, ბუნებრივია, მოითხოვა სახელმძღვანელოების, უპირველესად კი, „დედა ენისა“ და სხვათა გამოცემა. გამგეობის სხდომების ოქმებში ვხვდებით დღის წესრიგში დასმულ საკითხს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“ შესატანი ცვლილებების შესახებ, რომელსაც თვითონ ავტორი უძღვებოდა.

ნ. კ. გ. საზოგადოებას განყოფილებები ჰქონდა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. მათ შორის ერთ-ერთი სამაგალითო და მუყაითი თელავის განყოფილება იყო, რომლის 1908 წლის ანგარიშში სახალხო სკოლებისა და სამკითხველოების გახსნაზეა საუბარი. თელავის განყოფილებას განცხადებით მიუმართავს ნ. კ. გ. საზოგადოების გამგეობისადმი ილიას ადგილ-მამულის გადაცემასთან დაკავშირებით ყვარელში სკოლის გასახსნელად. ეს მოთხოვნა, საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობით, თავადაზნაურთა საადგილმამულო კომისიას დაუკმაყოფილებია - შეუსყიდია ილიას მამული და გადაუცია მათთვის. შემდგომში აქ, მართლაც, გაიხსნა სკოლები და გაიშალა საგანმანათლებლო მუშაობა.

ნ. კ. გ. საზოგადოებამ ზემოთ მოყვანილი მაგალითი გაიმეორა 1915 წელს აკაკის მიერ ნაანდერძევი უძრავი ქონების მიღების დროსაც. აკაკი წერეთელმა 1912 წელს საზოგადოებას უანდერძა სამოსახლო ადგილი და მამული სკოლის გასახსნელად, რათა დაარსებულიყო პოეტის სახელობის ქალთა სკოლა, ხოლო სახლის მეორე ნაწილი - ვენახი უანდერძა ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. ამ უკანასკნელთ უარი თქვეს მასზე და ისიც ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოებას გადასცეს.

გიორგი ყაზბეგის დროს ნ. კ. გ. საზოგადოება მუშაობდა რამდენიმე სექციად. მათ შორის იყო ადმინისტრაციული, სასკოლო, ბიბლიოთეკების მომწყობი, წიგნის გამომცემელი და სამუზეუმო სექციები.

1915 წელს საზოგადოებას უმსჯელია საგურამოს ილიასეული მამულის გაყიდვის

შესახებ და „საუმჯობესოდ მიუჩნევია“ ამ მამულის ნაკაშიძეებისათვის მიყიდვა, მათივე სურვილის შესაბამისად.

ნ. კ. გ. საზოგადოებას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქალთა განათლების საზოგადოებასთან, რომლის სათავეში იმ დროს ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა იდგა. არაერთხელ წამოჭრილა ამ ორი საზოგადოების გაერთიანების საკითხიც.

1909-1916 წლებში ნ. კ. გ. საზოგადოებამ გიორგი ყაზბეგის მეთაურობით თავისი განყოფილებები გახსნა საქართველოს ფარგლებს გარეთაც - ალექსანდროპოლში, არმავირში, ტუაფსეში, ალაგირში, სოჭში, ერევანში, განჯაში, კავკავში, ბაქოსა და სხვა ადგილებში.

1915 წლის 21 ნოემბერს ჩატარებული სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „ნ. კ. გ. საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგმა დ. კარიჭაშვილმა მოახსენა კრებას, რომ მან მიიღო გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგისაგან ფრიად არასასიამოვნო შინაარსის წერილი, რომელშიც ბ-ნი ყაზბეგი თავისი მოხუცებულობისა და დაღლილობის მიზეზით აცხადებს, რომ მას აღარ შეუძლია საქმიანობის გაძღოლა და ხსენებულ თანამდებობას თავს ანებებს. წინადადება მიეცეს კრებას, აირჩიოს წევრთაგან დეპუტაცია და ამ დეპუტაციის საშუალებით სთხოვოს ყაზბეგს, დარჩეს და განაგრძოს თავისი მოვალეობის ასრულება.“ საზოგადოების წევრთა დაჟინებული მოთხოვნით, გიორგი ყაზბეგი დარჩა საზოგადოების თავმჯდომარედ, შემდეგ საპატიო თავმჯდომარედ, თუმცა ავადმყოფობის გამო ხშირად ვერ ესწრებოდა კრებებს. აი, მაგ. 1917 წლის საგანგებო კრებაზე დავით კარიჭაშვილი მოახსენებს საზოგადოებას, რომ ყაზბეგი ავადობის გამო კრებას ვერ ესწრება. თუმცა ამ გარემოებას საზოგადოებისათვის ხელი არ შეუშლია იმაში, რომ ყველა საკითხის მოგვარება გიორგი ყაზბეგის უშუალო ნებართვით ეწარმოებინა, იქნებოდა ეს ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ხახანაშვილის ძეგლების ასაგები თუ პანთეონისათვის ადგილის შესაძენი საკითხები, თუნდაც კნენა ოლღა ჭავჭავაძის ბინის ქირა და სხვა.

ნ. კ. გ. საზოგადოება სხდომება სხვადასხვა ბინებსა თუ დარბაზებში მართავდა.

ზოგი უსასყიდლოდ უთმობდა მათ ადგილს, ზოგიც სასყიდელს ითხოვდა. 1918 წელს ჩატარებით საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება, რომელიც მის თავმჯდომარეს, გ. ნ. ყაზბეგს გაუხსნია. ამ კრებაზე ყაზბეგმა საქართველოს რესპუბლიკას თავისუფლებით შემკული რესპუბლიკა დაჭაბუკი, ახლად დაბადებული სახელმწიფო უწოდა. აქვე გ. ყაზბეგმა შეაჯამა საზოგადოების მიერ გავლილი სიძნელეებით აღსავსე გზა და მისი, როგორც გამგეობის თავმჯდომარის, ათწლიანი მუშაობა, ღირსეულად მოიხსენია საზოგადოებისათვის თავდადებული წევრები - დავით კარიჭაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე და გრიგოლ რცხილაძე.

1921 წელს ემიგრაციაში წასული გიორგი ყაზბეგი სტამბოლში გარდაიცვალა, ხოლო ნ. კ. გ. საზოგადოებამ თავისი ბოლო აქტი 1927 წელს შეადგინა, როცა კნენა ოლღა ჭავჭავაძე გარდაიცვალა და მისი ნივთები მუზეუმს გადასცეს.

ცხადია, რომ მომავალში, ვინც ამ მასალების გადახედვასა და შესწავლას მოინდომებს, კიდევ ერთხელ დარწმუნდება იმაში, თუ რა დიდი შრომა გახსნია ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოებამ და მისმა თავმჯდომარემ - გიორგი ყაზბეგმა 1908-21 წლებში ქვეყნის წინსვლის საქმეში, მის განათლებაში, „ხალხის თვითმოქმედების აზრის“ გაძლიერებასა და ცნობიერების გაღრმავებაში, ეროვნული სულისკვეთებისა და „ხალხის დამოუკიდებელი შემძლებლობის“ განმტკიცებაში.

#### ბიბლიოგრაფია

1. გიორგი ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, თბ., 1995
2. რამაზ სურმანიძე, თერგდალეული გენერალი, ლიტერატურული საქართველო, თბ., 07.05. 2002 წ.
3. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართველები უცხოეთში (ბიოგრაფიები და მოღვაწეობა)
4. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ხელნაწერებისა და საარქივო ფონდის“ კოლექცია, ნ. კ. გ. საზოგადოების ოქმები, ანგარიშები, მოხსენებები და სხვა (1908-1921)

**საბიბლიოთეკო ქსელი**

**ნანა ქავთარაძე  
გურამ თაყნიაშვილი**

**სამცხე-ჯავახეთის მხარის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება. ანალიზი სტატისტიკური მონაცემებით**

სამცხე-ჯავახეთის ექვს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფს 80 საჯარო ბიბლიოთეკა. 2000 წლის შემდეგ, ისევე, როგორც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში, ამ მხარეშიც საგრძნობლად, მოქალაქეთა უფლებების დარღვევით, გაუქმდა სასოფლო ბიბლიოთეკების დიდინაწილი. 2000 წლისათვის ექვსივე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 227 საჯარო ბიბლიოთეკა. 2000-2019 წლებში გაუქმდა 148 საჯარო ბიბლიოთეკა. ამ მხრივ ყველაზე მეტად დაზარალდა ახალციხის და ახალქალაქის საბიბლიოთეკო ქსელი. 2012-2019 წლებში ექვსივე მუნიციპალიტეტში აღადგინეს 61 საჯარო ბიბლიოთეკა. ასპინძის მუნიციპალიტეტში ამჟამად ფუნქციონირებს 5, ადიგენის მუნიციპალიტეტში 6 საჯარო ბიბლიოთეკა. მოქმედი ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი გაუქმდა 2008-2012 წწ. 2008 წელს მოქმედი 182 საჯარო ბიბლიოთეკიდან 2012 წლამდე მათი რაოდენობა შემცირდა 74-მდე.

სოფლის ბიბლიოთეკების ასე ხელაღებით მომსახურების გარეშე დატოვილი მხარის 180-მდე სოფელი, სადაც მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენს 45.000-ზე მეტს. ახალციხის მუნიციპალიტეტში მომსახურების გარეშე 38 სოფელი, სადაც მოსახლეობის რაოდენობა აჭარბებს 14.000-სს.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში 47 სოფელია საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე, სადაც მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 20 ათასზე მეტს; ადიგენის მუნიციპალიტეტში მომსახურების გარეშე დარჩენილი 49 სოფელი, სადაც მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 11.500-სს;

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 9 სოფლის მომსახურების გარეშე, თითოეულ მათგანში მოსახლეობის რაოდენობა აჭარბებს 1000-სს; 500-მდე მაცხოვრებელია მომსახურების გარეშე დარჩენილი 87 სოფელში;

მუნიციპალიტეტებში საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის ფორმირების პროცესში ადგილობრივი ხელისუფლება ითვალისწინ

**სამცხე-ჯავახეთის მხარის საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი 2000-2020 წწ.**

№	მუნიციპალიტეტის დასახელება	ბიბლიოთეკების რაოდენობა 2000 წ.	2003 წელს	2008 წელს	2012 წელს	გაუქმდა 2000-2019 წწ.	აღადგინეს 2012-2019 წწ.	არის 2020 წელს
1.	ახალციხე	50	42	42	5	38	8	13
2.	ბორჯომი	33	35	35	23	10	10	23
3.	ახალქალაქი	58	61	64	18	40	18	18
4.	ასპინძა	24	24	24	5	19	5	5
5.	ადიგენი	34	34	2	6	28	5	6
6.	ნინოწმინდა	28	15	15	17	13	15	15
	<b>ჯამი</b>	<b>227</b>	<b>211</b>	<b>182</b>	<b>74</b>	<b>148</b>	<b>61</b>	<b>80</b>

ნებს უპირველესად მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, მხარის სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებას. მხარის ადმინისტრაციის მუშაობაში დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ 2012 წელის შემდეგ მათ აღადგინეს 61 საჯარო ბიბლიოთეკა; თუნდაც ამ მხრივ მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩასატარებელი მომდევნო 2020-2021 წლებში; უპირველესად ქსელის გაფართოებაზე უნდა იზრუნოს ასპინძისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების ადგილობრივმა ხელისუფლებამ. ბიბლიოთეკები უნდა აღდგეს იქ, სადაც არის დარჩენილი გაუქმებული ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდები, და სადაც თუნდაც ერთი ოთახი გამოიძებნება ბიბლიოთეკისათვის.

მუნიციპალიტეტებში მოქმედი საჯარო ბიბლიოთეკების მომსახურების ხარისხზე დადებითად მოქმედებს ფონდების განახლების მაჩვენებელი; ახალი გამოცემებით ბიბლიოთეკების დაკომპლექტება, შესაძენი ეგზემპლარების რაოდენობა დამოკიდებულია გამოყოფილი თანხების რაოდენობაზე. 2017-2019 წლებში ახალციხის მთავარ ბიბლიოთეკას გამოეყო 23.000 ლარი, 2016-2017 წლებში შეიძინეს 450 ახალი გამოცემა. ბორჯომის მთავარ ბიბლიოთეკას იმავე პერიოდში გამოეყო 11.500 ლარი, შეიძინეს 1200 ეგზ. ახალი გამოცემა. ასპინძის მთავარ ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი 5380 ლარით შეიძინეს 440 ეგზ. ახალი გამოცემა.

სულ ექვსივე მუნიციპალიტეტში ახალი გამოცემების შესაძენად გამოყოფილი იყო 41.500 ლარი, შეძენილი იქნა 6535 ეგზ. წიგნი და სხვა სახის გამოცემა. საშუალოდ ერთ ბიბლიოთეკაზე ყველაზე მეტი წიგნი იყო შეძენილი ახალციხის საბიბლიოთეკო ქსელში - 348 ეგზ.; ასპინძის ქსელში 88 ეგზ.; ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში ერთ ბიბლიოთეკაზე საშუალოდ შეიძინეს 52 ეგზ. ახალი გამოცემა; სულ მხარეში მოქმედი 80 საჯარო ბიბლიოთეკაზე, საშუალოდ ერთ ბიბლიოთეკაზე შეიძინეს 520 ეგზ. ახალი გამოცემა; ფონდების განახლების ასეთი დაბალი მაჩვენებელი რა თქმა უნდა უარყოფითად აისახება მომსახურების ხარისხზე. ცენტრალური ბიბლიოთეკები ყოველ წლის ბოლოს ადმინისტრაციას წარუდგენენ იმ გამოიცემების სიებს, რომლებზედაც დიდი მოთხოვნილებაა მკითხველებში, რა თქმა უნდა შესაძენი წიგნების რაოდენობაზე უარყოფითად მოქმედებს წიგნების სიძვირე;

მხარეში მოქმედი 80 საჯარო ბიბლიოთეკის მუშაობის შინაარსი ბევრწილად დამოკიდებულია ბიბლიოთეკართა პროფესიულ დახელოვნებაზე; მათს აქტიურ მიდგომაზე; არსებულ პირობებში, რა თქმა უნდა შესაძლებელია მეტის შექმნა, მეტი სოციალური ჯგუფების მოზიდვა ბიბლიოთეკაში; კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვამ მრავალფუნქციური გახადა ბიბლიოთეკის მუშაობა. ინტერნეტში ჩართული კომპი-

### მომსახურების გარეშე დარჩენილი სოფლების რაოდენობა

№	მუნიციპალიტეტის დასახელება	სოფლების რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობა	500-მდე მცხოვრები	500-დან 1000-მდე მცხოვრები	1000ზე მეტი	შენიშვნა
1.	ახალციხე	38	14891	31	4	2	
2.	ბორჯომი	13	2842	7	4	2	
3.	ახალქალაქი	47	20615	31	14	2	
4.	ასპინძა	16	4107	16			
5.	ადიგენი	46	11512	„	45		
6.	ნინოწმინდა	15	20489	1	4	9	
7.	ჯამი	175	45.000	87	70	15	

**მხაროს ბიბლიოთეკებში ფონდების განახლების მაჩვენებელი**

№	მუნიციპალიტეტის დასახელება	2017-2019 წწ. გამოყოფილი თანხა	შეძენილი ნივთების რაოდენობა	ბიბლიოთეკების რაოდენობა	საშუალო რაოდენობა ერთ ბიბლიოთეკაზე	შენიშვნა
1.	ახალციხე	23.000 ლ.	2016-2017 4530 ეგზ.	13	348	
2.	ბორჯომი	11.615	1200	23	52	
3.	ახალქალაქი		150	18	9	
4.	ასპინძა	5380	440	5	88	
5.	ადიგენი	1200	2017-2018 85	6	14	
6.	ნინოწმინდა	300	130	15	8	
7.	ჯამი	41495	6535	80	519	

უტერი მკითხველს შესაძლებლობას აძლევს ოპერატიულად მიიღოს საჭირო ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხებზე. ბიბლიოთეკარის ამოცანაა ერთიმეორეს შეუხამოს კომპიუტერის შესაძლებლობები და ბეჭდური წიგნის როლი და დანიშნულება. პირველწყაროებთან წვდომისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბეჭდურ წიგნს. ის ფაქტი, რომ კომპიუტერი ვერ შეცვლის წიგნს უტყუარი ქეშმარიტებაა. ამჟამად მხარის ექვსივე მუნიციპალიტეტში შეძენილია და მოქმედებს 62 კომპიუტერი, რომელთაგან ინტერნეტშია ჩართული 46. ახალციხის საბიბლიოთეკო ქსელში შეძენილია 35 კომპიუტერი, მათგან ყველა ჩართულია ინტერნეტში. ბორჯომის 11 კომპიუტერიდან ინტერნეტშია ჩართული 3 კომპიუტერი. კომპიუტერების დიდი ნაწილი მოქმედებს ცენტრალურ ბიბლიოთეკებში; ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში 4-ივე კომპიუტერია ცენტრალურ ბიბლიოთეკაში; ახალციხის მუნიციპალიტეტში მხოლოდ 2 სოფელშია ინტერნეტი ჩართული. ასპინძაში სულ 5 კომპიუტერია, ხუთივე ფუნქციონირებს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში; ასეთივე მდგომარეობაა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში; კომპიუტერული ტექნიკის გონივრული გამოყენება უნდა იგრძნობოდეს სასოფლო ბიბლიოთეკებში. ცენტრალურ ბიბლიოთეკებში ადგენენ ელექტრონულ კატალოგს,

უმრავლესობა აწარმოებს საინვენტარო წიგნის ელექტრონულ ვერსიას; ცენტრალურ ბიბლიოთეკაში აუცილებელია მხარეთმცოდნეობითი მასალების მონაცემთა ბაზების შექმნა და წარმოება.

საბიბლიოთეკო მომსახურების ტრადიციული და თანამედროვე ფორმების გამოყენებამ საგრძნობლად უნდა აამაღლოს ბიბლიოთეკის ავტორიტეტი, რაც უპირველესად გამოიხატება მკითხველათა საშუალო წლიური რაოდენობით, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით, მკითხველთა საშუალო წლიური რაოდენობის დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება ექვსივე მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო ქსელი. ამ მხრივ უფრა მაღალი მაჩვენებელი აქვს ასპინძის ქსელს, სადაც მკიხველთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 1600-სს; ახალქალაქის საბიბლიოთეკო ქსელში ეს მაჩვენებელი შეადგენს მთავრ ბიბლიოთეკაში 2900-სს; ქსელის მასშტაბით 1800-სს;

მუნიციპალიტეტის ცენტრებში მოსახლეობის საბიბლიოთეკო კითხვაში ჩაბმის % შემდეგი მაჩვენებლით ხასიათდება: ასპინძაში ჩაბმის -0,2, ახალქალაქში - 0,7, ახალციხეში - 01, ნინოწმინდაში 0,7.

მოსახლეობის საბიბლიოთეკო კითხვაში ჩაბმის მაჩვენებლებზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ფაქტორები. ერთი ძირითადი

**კომპიუტერების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში**

№	მუნიციპალიტეტის დასახელება	კომპიუტერების რაოდენობა	ჩართული ინტერნეტში	შენიშვნა
1.	ახალციხე	35	35	
2.	ბორჯომი	11	3	
3.	ახალქალაქი	3	2	
4.	ასპინძა	5	2	
5.	ადიგენი	4	4	
6.	ნინოწმინდა	4	-	
7.	ჯამი	62	46	

და ნიშანდობლივი მაჩვენებელია საბიბლიოთეკო ფონდების განახლების დაბალი მაჩვენებელი.

მკითხველთა მომსახურების ხარისხზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ბიბლიოთეკართა პროფესიული დახელოვნება; ქსელში მომუშავე ბიბლიოთეკართა დიდმა ნაწილმა აქტიურად გამოიყენეს კომპიუტერული ტექნოლოგიები, რითაც ბიბლიოთეკებმა შეიძინეს ახალი სოციალური ფუნქციები.

სამცხე-ჯავახეთის მხარეში მომუშავე ბიბლიოთეკართა პროფესიული კვალიფიკაცია ასეთ სურათს გვაძლევს. ქსელში მომუშავე საშუალო განათლების ბიბლიოთეკარები კვალიფიკაციას იმაღლებენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ამა-

ღლების კურსების საშუალებით, ამ მხრივ უფრო დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი ბორჯომის, ახალქალაქის და ნინოწმინდის საბიბლიოთეკო გაერთიანებებში, სადაც ბიბლიოთეკართა ორი მესამედი წარმოდგენილია საშუალო განათლების მქონე კვალიფიკაციის ბიბლიოთეკარებით.


მხარის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების წინამდებარე ანალიზი არ ატარებს სიღრმისეულ ხასიათს; უფრო დეტალური ანალიზისათვის სანროა მივმართოთ მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლობის გამოყენებას. ასეთი ანალიზი უნდა შედგეს მუნიციპალიტეტის მთავრ (ცენტრალურ) ბიბლიოთეკაში.

**სამცხე-ჯავახეთის მხარეში მომუშავე ბიბლიოთეკართა პროფესიული კვალიფიკაცია**

№	მუნიციპალიტეტის დასახელება	თანამშრ. რაოდენობა	უმაღლ. სპეციალ. განათლებით	უმაღლესი ზოგადი განათლებით	საშუალო სპეციალ. განათლებით	სასშუალო არასპეც. განათლებით	საშუალო განათლებით	შენიშვნა
1.	ახალციხე	27	1	6	2	16	2	
2.	ბორჯომი	43	7	6	6	8	16	
3.	ახალქალაქი	35	1	13	5	8	8	
4.	ასპინძა	16	4	3	3	3	3	
5.	ადიგენი	23	2	4	8	3	6	
6.	ნინოწმინდა	37	5	7	8	10	7	
7.	ჯამი	181	20	39	32	48	40	



**ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიის  
ბიბლიოთეკარის რეცეპტი  
ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას**

<b>მომზადების დრო:</b>	თვე
<b>სირთულე:</b>	
<b>ყველაზე მეტად უხდება:</b>	კეთილგანწყობა პროფესიონალიზმი მყუდრო გარემო თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა

**ინგრედიენტები :**

- კომპიუტერული ტექნიკა
- კომპიუტერული უნარ-ჩვევები
- თანამშრომლობა სასწავლო დაწესებულებებთან
- ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა
- თბილი გარემო
- მომხმარებლის ინტერესების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება



**რა იყო „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკის“ წარმატების რეცეპტი ვეჯინის ბიბლიოთეკაში?**

ბიბლიოთეკის ფუნქცია უფრო გაიზარდა საპილოტე პროექტის „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ განხორციელების შემდეგ. ამ პროექტის მეშვეობით სოფელში ბიბლიოთეკა გახდა ყველა სოციალურ ფენისათვის ხელმისაწვდომი, საინტერესო და ფუნქციურად უფრო დატვირთული ადგილი. ბიბლიოთეკაში კომპიუტერული ტექნიკის დანერგვამ და ინტერნეტმა უზრუნველყო ბიბლიოთეკის წარმატებული მუშაობა. ინტერნეტის საშუალებით მომხმარებლები იძენენ ახალ უნარებს და ცოდნას, მოიპოვებენ ყველა საჭირო ინფორმაციას. უფასო ინტერნეტმა მოსახლეობას მისცა ცოდნის მიღების და კომუნიკაციების გაფართოების საშუალება. ინტერნეტიზაციის შემდეგ მომხმარებელს ვთავაზობთ საჯარო სივრცეს თავმჯდომარისათვის, გუნდურ მუშაობისათვის და იდეების განხორციელებისათვის, რომლებსაც საშუალება აქვთ მოიძიონ ინტერნეტში ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია და მასალა.

ბიბლიოთეკაში ღონისძიების ჩატარებაში დიდ დახმარებას გვინევს კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი. ვიღებთ ღონისძიებისთვის საჭირო ინფორმაციას. პროექტორის საშუალებით ვაჩვენებთ ნებისმიერ ისტორიულ მოვლენებს, საჭირო კინო ფილმებს და ღვანლმოსილ ადამიანების ბიოგრაფიულ ცხოვრება მოღვაწეობას.



ჩვენს ბიბლიოთეკას ჰყავს მრავალფეროვანი მომხმარებელი. აქ იკრიბება სხვადასხვა ასაკის ადამიანი.

მზარეული: **ლეილა თამლიანი**

ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიის ბიბლიოთეკარი



**რა უნდა გააკეთოთ თქვენ:**



- გიყვარდეთ საკუთარი საქმე
- მუდამ ეძიეთ სიახლე
- იყავით კეთილგანწყობილი
- აქტიურად ითანამშრომლეთ კოლეგებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით



**„შეფ-მზარეულის“ რჩევები:**

**ძვირფასო კოლეგებო!**

ყოველ სიახლეს მოვეკიდოთ კეთილგანწყობითა და დიდი პასუხისმგებლობით, ვიმუშავოთ საკუთარ თავზე, გავისიგრძეგანოთ ჩვენი მკითხველის, მომხმარებლის საჭიროებოთო საკითხები, დავუდგეთ მათ მხარში, მოვირგოთ თემის მობილიზატორის ფუნქციები, ვინაიდან მათ აქვთ ჩვენი დახმარების იმედი. ყოველივე ამით სოფლის ბიბლიოთეკები გავამართლებთ საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ გამოცხადებულ ნდობას და ზრუნვას.



## ჩვენი შემოქმედება

### მარი ჩაკვეტაძე



დავიბადე აფხაზეთში.1993 წ ომის შემდეგ საცხოვრებლად გადავედი ქ.ქუთაისში.

აქვე დავამთავრე გ. ნიკოლაძის სახელობიდ ოლიმპიური რეზერვების სპორტული ლიცეუმი-2001 წელს.

2002-2007წწ ვსწავლობდი ქ. ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. სპეციალობით ვარ ჟურნალისტი. მიყვარს ლიტერატურა, პოეზია და ვწერ ლექსებს.

ამჟამად ვცხოვრობ თბილისში, მყავს მეუღლე და ორი შვილი.

ვმუშაობ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების 29-ე ფილიალში. 6 წელია ვემსახურები მკითხველებს და ძალიან მომწონს ჩემი მეორე პროფესია - ბიბლიოთეკარობა. ამასთანავე ვწერ სტატიებს.

### დროის ცვლილება

დღეს თავისუფლად თქმის აღსრულება,  
არის რიგიდან გამოდევნილი,  
ტირის და მოსთქვამს ქართული ზეცა,  
ვით ვაჟას ნუკრი ობლად შთენილი.  
ვაიმე ქართლო, ბედუკუთურო,  
წარსული შენი რარიგ ტკბილია,  
შებლალეს შენი პათიოსნება,  
საფლავში მოსთქვამს ბრძენი ილია.  
დროება მართლაც წარმავალია,  
არ რჩება აღარც გადმონაშთები,  
ჩვევა-კულტურა სულ შეცვლილია,  
არ ქარბობს სახლებს აქ მონასტრები.  
... და ახლა ქართველს უწინდებურად,  
არ ზარავს ტანში ზარზმის ზმანება,  
აღარც ადარდებს ბედი ქართლისა,  
არც ნიკოლოზის რაში თავნება.  
ეხ,ფანტაზიავ რა მდიდარი ხარ,  
მათ ხომ არ სტკივათ ქვეყნის ტკივილი,  
და როგორ გინდა რომ გააგონო,  
იმა ქვეყნიდან ბრძენთა ტირილი.  
ღმერთო ძლიერო შენ მოგვივლინე  
მხსნელი დავითი შეცვალე დრონი,  
აღმოგვიბრწყინე მზე იბერიის,  
დაჰბადე კიდევ გელათის კლონი.  
აახმაუროს გუმბათი მნათემ,  
აღსანიშნავად გამარჯვებისა,  
ნუთუ ბევრია ღმერთო რასაც გთხოვ,  
საკმარისია დასჯა ერისა.

დღეს თავისუფლად თქმის აღსრულება,  
შევიცნოთ ვით მეთერთმეტე მცნება,  
გიყვარდეთ კაცნო ერთმანეთი და  
ვაჟასაც მშვიდად დაეძინება.  
კვლავ იშრიალებს სადღაც ქადარი,  
ისევ ამოვა ქერი და სვია,  
მე მომავალი მივსებს იმედებს,  
და გამარჯვება სულს ძლიერ შია,  
ვიცხოვრებ ისეთ საქართველოში  
რომელსაც შოთას სამშობლო ქვია,  
მწამს ჩემს ქვეყანას დღეს თუ არა ხვალ -  
მაღე ვიხილავ მშვიდსა და მზიანს!

\* \* \*

ქალი ნეკნი, ქალი ცოლი,  
თუნდაც ქმართან ერთხელ იწვეს... -  
მოვა ქალარების თოვლი,  
და ის მაინც გრძნობას იწვევს.  
კაცი მიწა,კაცი მტვერი,  
ზღვა ქალების მოყვარული,  
ამიტომ ყავთ ბევრი მტერი -  
გულები კი მოპარული.  
თუმცა არის ქვეყნად კაცი,  
ჰყავს ოცნების ერთი ქალი  
ულალატებს თუნდაც ფიქრით?? -  
ეტკინება გვერდის ძვალი!.

მარი ჩაკვეტაძე



**მწერლის დაბიუტი ჩვენს ჟურნალში****გია ჯიჭონია****პირბები**

ჟურნალში პირველად ვაქვეყნებთ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის **გია ჯიჭონიას** ლექსების ნაწილს. იგი გახლავთ 11 წიგნის ავტორი, სამი წლის უკან გამოიცა მისი თხზულებების ხუთტომეული. მან შექმნა ლექსების ახალი ფორმა, რომლებსაც უწოდა „კოლხური კიბრი“. კიბრი ითარგმნა იტალიურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. კიევში უკრაინულ ენაზე გამოცემული „კოლხური კიბრების“ კრებულს 2018 წელს მიენიჭა დავით გურამიშვილის სახელობის საერთაშორისო პრემია.

I  
ყოველი ქვეყნის ისტორია არის მუზეუმში,  
ის გმირობანი, არა მხოლოდ მუზეუმებში,  
იდებენ ბინას, ბრწყინავენ და არ დუმდებიან,  
გულს გიხარებენ, ბრწყინვალეებით, არ ხუნდებიან,  
თან გიყვარს ცოცხლად, სიმღერებად ლამაზ ქუჩებში  
ამ ისტორიას რომ მღერიან და გიყვებიან.

II  
ვიღამ შეიგრძნოს საოცრება გრძნეულ ძალების,  
ერთგვარი ახსნა, რომ სამყაროს იდუმალების,  
თუკი არსებობს ის საერთოდ — ყველაფრის პასუხს  
ვერ ვეღირსებით, ვერასოდეს, ვანვალეობთ წარსულს,  
არ მიაწოდებს მას ბუნება არც მდუმარებით  
და არც სიტყვებით, თურმე მოკვდავს, რადგანაც არ სურს.

LXIII  
დამტანჯა ღამემ, ასმეერთე ნიღაბს რომ იცვლის,  
გათენდება და დღეც დამიწყებს კვლავ კუდის ქიცინს,  
საოცრებაა, ამ ყველაფერს ხალხი რომ იტანს,  
დავჯდები, ვიცი, ის წუთებიც რემლს რომ მომიტანს,  
შენუხებული ქარებისგან, დაიწყებს ქვითინს,  
როცა ჯიჭონი, ანუ *Salix babylonica*.

LXIV  
ხდება დაჩაგვრა, უნიჭობის წინ გაჩოჩება,  
აქ ნაცნობობით მოგაკითხავს თვითონ ოცნებაც,  
გენიალობას, მათ შემყურეს, ენა დაება,  
ნაცნობ ღიმილით გაუღიმეს როცა დამებმა,  
გულისამრევი პროცესები მით იკოცნება,  
აქ ნაცნობობით ხდება თურმე თვით უკვდავება.

LXV  
ყალბი ფულივით, ცხოვრებაში ყველა ყალბია,  
თურმე და ასე, თვალთმაქცურად ირგვლივ დარბიან,  
ირგვლივ, შენს ირგვლივ გიყენებენ მუდამ პირობებს,  
და არასოდეს ასრულებენ იმ დაპირებებს,  
რაც კი მათ უთქვამთ, მხოლოდ ფულთან იმას ადრიან  
და ეს ანუხებთ ღამითაც და დილაადრიან.

LXVI  
ვერ ისაზრდოვა დღევანდელით, შეუჩნდა გრძნობებს,  
ვერ დატკბა იმით, რაც იზიდავს მშვიდს და მედროვეს,  
რომ ნოვატორი შეუჩნევდეს სიმზე განვება,  
ჯერაც უხილავ და ბუნდოვან ტვირთს მიაწვება,  
აღიზიანებს რაც თაობებს თანამედროვეს, —  
იმას, მომდევნო თაობა ხომ უცებ ჩასწვდება.

**მედიტაციურიკირბები**

ნაწყვეტი ნიღბების თეატრიდან

მთელი ცხოვრება, იმანა თქვა, — ვიქმნიდი ნიღაბს,  
ალარ მჯეროდა გამართლების, არ ვენდე იღბალს  
და ათასნაირს მივმართავდი საშუალებას,  
რათა გრძნობები დამემალა და ბრწყინვალეობა  
მქონოდა სახის, — ასე ხალხში ვიარე დიდხანს,  
სანამდის ზურგი არ მაქციეს თვით მწვერვალებმა.

**მხოლოდ უფლის თვალში დაფასებული ერი**

სტუმართმოყვარე, მგზავრისათვის კარის გამღები,  
ჩვენ, წინაპართა სულებისთვის სანთლის დამნთები,  
ცეკვით „ქართულით“ სიყვარულის რაცაა ჰიმნი,  
შვიდი თაობის არაღრევას ვიცავდით სისხლით,  
ლოცვით ავაგეთ ციხე - კოშკნი და ეს ტაძრები,  
მუხლდაჩოქილის ვედრება რომ დღემუდამ ისმის.

**დანვრილმანებისკირბი**

ყოველდღე ფიქრი, — დააგროვოს მანაც ქონება,  
(თუმცა ბევრი რამ ხვალ აქედან ემასხოვრება),  
გზებს სულ ეძებდა ფიქრებით და ნაიარევით,  
ზოგჯერ ღია ან დაკეტილი დახვდა კარები,  
კრიტიკის თვალით რომ შეხედა ერთხელ ცხოვრებას,  
მაშინვე იგრძნო უაზრობა ამ წვრილმანების.

**ჩვენი თაობის კირბი**

ჩვენი თაობა მისთვის ჩვეულ ღმობიერებით,  
მტკიცე განზრახვით და ღიმილშიც კიდლიერებით,

გასაცოდავდა ბევრი, თუმცა შემორჩა ჩვევა, როგორც ჰქონდა ღირსეული, ისე იქცევა, ასევე ბევრი ღირსებით თუ მანკიერებით, სილამაზით ან სისასტიკით გამოირჩევა.

**მორიგი ნაწყვეტი „კომედიანტებიდან“**

გზასაცდენილი მერამდენედ გაგიურჩდება, მის თვალწინ როცა პრობლემები კვლავ დაქუჩდება, ღრმად შეტოპილი ის მზადაა ყველაგა ყაროს ამ თამაშიდან, მისი კვალი რომ დაიფაროს, ბოლოსკენ ხვდება, თურმე ისიც მიეკუთვნება, მარადიული ამ თამაშის გიჟურ სამყაროს.

**ჭაობის ბაყაყის კირბი**

ჭაობის ბაყაყს ნუ უყვები ოკეანეზე, აფრიკის მზეზე, უცხო ზღვებზე და იმ განედზე, ვინძლო ღამით ვერ დაიძინოს, სიზმრებს შეუტევს ოკეანეებს გაუტოლებს როდესაც ნუმპეს. და გაფრინდება, მინდობილი ჯადოსნურ ფრთებზე, გამოფხიზლებულს შეიძლება გულიც გაუსკდეს.

**„მეექვსე ნომერ პალატაში“ რეაქტიული შიზოფრენიით (საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა)**

I.  
მძაფრ ფსიქოზური სიმპტომებით, დევნის სცენებით, ცრემლთსაღვარო იდეებით, წარმოდგენებით, ხან სახარხარო, უფროთოდ, ფრთებით ან გაფრენით ის, აზრით ბისმარკის, ბონაპარტის ან სხვა გენიის, ზელირებული ბოდვებით და სხვა იდეებით,- მცდარი აზრები კი ფრთებია შიზოფრენიის.

II  
თუმცა შეიძლება სიმპტომთ მოყვას კვლავ რემისია, თუ არ მოყვა და, ვის დარჩება ჩვენი მისია? ვხოცეთ ერთურთი, ვინც გადარჩა, პალატაშია, ვისი იმედიც მუდამ გვქონდა, ისევ გზაშია, ტემპერატურით მაღალით და ბოდვით ძილშია, ვერავინ ხედავს გამოსავალს სად და რაშია.

**ესკიზი ავტოპორტრეტისთვის**

მე ჯოჯოხეთად მექცა შენი ის საუბრები, გამოფხიზლებას რომ წყვიდადში დიდხანს ვუნდები, დამღალა ფიქრმა, ამდენი ხნის ნაცანცალევი, უხვად ცრემლებმა, ბევრჯერ ყალბად ნაღვარღვარევი, მანუხებს წლობით მონაჭერი ხელზე ხუნდები, დამტანჯა ყელმა, ამდენი ხნის ნამწყურვალევი.

**ჩემი გვარის ეტომოლოგიისთვის**

I  
მე ვარ ჯიჭონი, შუმერთა ქალაქ ურუქიდან, მე ტირიფი ვარ, ჩემი გვარიც მოდის იქიდან, ერიდუ, ქიში, უმა, ური და ლაგაშია, ჩემი ბავშვობის ქალაქები, ფრთა რომ გამშლია, „ღმერთთა კარიბჭეს“ დავეძებდი და შიშს არ მგვრიდა, აქადი გახდა იქ პირველი ჩემი ნათლია.

II  
იმან მიწოდა ბაბილონი, ბაბილონიკა, ანუ ტირიფი, როცა ირგვლივ ინვოდა მიწა, ურუქს რომ დამრჩა, დარდი მკლავდა თიხის ფირფიტის, მეტირებოდა და ცრემლები ფარავდნენ ირისს, ლერწმით ნანერი აქ ვერ მომყვა, ვხარობ წყლის პირას და ამიტომაც მეძახიან მტირალა ტირიფს.

# ჯიჭონი (მეგრ). ძენა .salix babylonica (ლათ) - მტირალა ტირიფი.  
#შუმერული ქალაქები - ერიდუ, ქიში, უმა, ური, ლაგაში.  
#ღმერთთა კარიბჭე

**მზისფერი სევდა**

აქ, ეს დღეები, ერთნაირად რომ გვიხარებს გულს, ანდა გვამწარებს, ცრემლებს ითხოვს ტანჯვით დატვირთულს, კვლავ კითხულობენ, ეს სცენარი სად დაინერა? ჭკვიანს და სულელს სევდა ერთად როცა ეწვევა, არ ერიდება გაცურებას კეთილშობილურს, ადამიანებს დაიგულებს რაც ბედისწერა.

**კორიბანტები ფრიგიაში**

ხმოვნები დგანან გალაკული, მშვიდი თვალებით, აზიის ცხელი ღამეებით ძილგამკრთალები, ასონიშნები საბრძოლოა, როგორც მხედრული, ფრაზა, მასისთვის სტანდარტული, ტრაფარეტული, აზრები გაფრთხობს ერთმანეთთან შენამთრალეები და ის ამბავიც უჩვეულოდ სიუჟეტური.

# კორიბანტები, კირბანტები, კირბების შემქმნელნი. ანტიკური ავტორების თანახმად, კორიბანტები, ქალდ-მერთ კიბელეს (ფრიგია) მსახური ქურუმები, რომლების აღმოსავლეთის ხალხებს უქმნიდნენ დამწერლობას, ასწავლიდნენ სახლის შენებას, ფუტკრის მოვლას და სხვა, წარმოშობით კოლხეთიდან იყვნენ.

## კოროსკონდენსიები

### ზეინაბ ზაქარიაშვილი

ქ. თბილისის N21-ე ბიბლიოთეკის უფროსი

### ბიბლიოთეკის იუბილე

„რაც კაცობრიობას უაზროვნია, ის არის მოთავსებული წიგნში“  
ოტია იოსელიანი

ერთხელ ალბერტ აინშტაინს ჰკითხეს, როგორ შეიძლება ჩვენი შვილები გონიერები გავხადოთ. მისი პასუხი ერთს და იმავე დროს მარტივიც იყო და ბრძნულიც: „თუ გსურთ თქვენი შვილები ჭკვიანი გამოვიდეს, - თქვა მან, - უკითხეთ ზღაპრები. თუ გსურთ უფრო ჭკვიანი იყოს - უკითხეთ უფრო მეტი ზღაპარი“. აინშტაინმა კარგად იცოდა კითხვისა და წარმოსახვის ფასი. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი სამყარო, სადაც ჩვენ შვილებს, მომავალ თაობებს შეექმნებათ პირობები, რომ წაიკითხონ წიგნები. ეს სამყაროა ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკები თავისუფლებაა: კითხვის თავისუფლება, ურთიერთობის თავისუფლება. ბიბლიოთეკები განათლების წყაროა, რომელიც მას შემდეგაც კი არ რჩება, რაც სკოლას ან უნივერსიტეტს დავამთავრებთ. სიამოვნების წყაროცაა, უსაფრთხო ადგილია, სადაც ინფორმაციაზე თავისუფლად მიგვიწვდება ხელი.

ბიბლიოთეკებს კავშირი აქვს ინფორმაციის წყაროებთან. დღეს ინფორმაციას დიდი ფასი ადევს, ხოლო სწორ ინფორმაციას - უზარმაზარი.

ბიბლიოთეკები მომავლის კარიბჭეებია.



ბიბლიოთეკარები კი მისი კარების გამღები, რომელთა უანგარო შრომა დღესდღეობით დაუფასებელია ყოველმხრივ. ბიბლიოთეკარები ყოველთვის მუშაობდნენ და მუშაობენ ენთუზიაზმზე.

მინდა გაგაცნოთ 21-ე ბიბლიოთეკა, რომელიც დაარსებიდან 70 წელს ითვლის. ბიბლიოთეკა დაარსდა 1949 წელს. თავდაპირველად იგი მდებარეობდა გორგასალის ქ.N257-ში. 1968 წლიდან მდებარეობს გორგასალის ქ.N237-ში. მისი არსებობის მანძილზე მას ბევრი მტერი გამოუჩნდა, განსაკუთრებით 21 საუკუნეში. ბიბლიოთეკის ფართი სხვადასხვა დანიშნულებისათვის უნდოდათ და არა ბიბლიოთეკისათვის. მაგრამ ბიბლიოთეკის თანამშრომლების და აქტიური მკითხველების თავდადებული ბრძოლით ბიბლიოთეკა გადაურჩა გაუქმებას.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 25000-ზე მეტ ეგზემპლარს. ვღებულობთ სხვადასხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთებს, რომელთაც ერთგული მკითხველი ჰყავთ.

ბიბლიოთეკას აქვს სამი განყოფილება: აბონემენტი, სამკითხველო დარბაზი, საბავშვო განყოფილება. მკითხველებს ემსახურება: უფროსი - ზეინაბ ზაქარიაშვილი,





ნამყვანი ბიბლიოთეკარები: ლია პატარიძე, ელენე კოტოვიჩი, ბიბლიოთეკარები: მადონა ალანია, თეონა გელაშვილი.

ამ ბიბლიოთეკას წარსულში ღირსეული თანამშრომლები ჰყავდა, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ბიბლიოთეკის საქმიანობაში: ქეთევან დიხამინჯია, ამალია სტეფანოვა, ვახტანგ გოცირიძე და სხვა. მათ შორის მეც მოკრძალებული წვლილი მიმიძღვის ორმოცი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის სიცოცხლის შენარჩუნებაში, თანამშრომლებთან და მკითხველებთან ერთად.

ჩვენი ბიბლიოთეკა ემსახურება 65, 72, 73, 75, 144-ე საჯარო სკოლებს, სკოლა „ინტელექტს“ და ბაგა-ბალებს. აღსანიშნავია ისიც, რომ თავისუფლების მოედნიდან ქალაქ რუსთავის დასაწყისამდე არანაირი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა არ არსებობს.

დღესდღეობით წლის განმავლობაში ბიბლიოთეკა ემსახურება 1000-1500-მდე მკითხველს.

ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები არიან: მწერალი ლერი ალიმონაკი, პროფესორი არქიტექტორი ნინა ალექსიშვილი, ყოფილი ჟურნალისტი ზურაბ ხორავა, მეცნიერ-გამომგონებელი თამაზ ნანიტაშვილი, მხატვარი ჯემალ ხუციშვილი, მთარგმნელი თამაზ ხარაიშვილი და სხვა მრავალი გამოჩენილი ადამიანი. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები ვცდი-

ლობთ მკითხველთა მოზიდვას. აქტიურად ვართ ჩაბმული სკოლებთან ურთიერთობაში. ვატარებთ ღონისძიებებს ბავშვებთან ერთად. ვეხმარებით პატრიარქის მონოდებას: „მინდა შაბათი წიგნის დღედ დავაწესო“, „თქვენი პირველი მეგობარი უნდა იყოს არა რადიო, ტელევიზორი, ინტერნეტი, არამედ წიგნები. უნდა იკითხოთ და ისინი მოგცემენ უნარს, რომ გაარჩიოთ, სად არის კეთილი და ბოროტი“.

თანამედროვე ახალგაზრდებისათვის ტექნოლოგიურ სიხლეებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ბეჭდურ წიგნს თავისი უნიკალური ფუნქცია აქვს და უახლეს წლებში ამ ფუნქციის დაკარგვის და წიგნის აქტუალობის შემცირებას საფრთხე არ ემუქრება, ამიტომ საჭიროა ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის განვითარება, თანამედროვე ლიტერატურით შევსება არა მხოლოდ მხატვრულით, არამედ სხვა დარგის ლიტერატურით.

2019 წლის 1 ივნისიდან ქ.თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა გადაკეთდა მულტიფუნქციურ ბიბლიოთეკად. იმედია, რომ მერიის კულტურის სამსახური მეტ ყურადღებას დაუთმობს ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკარებს მოგვცემენ არსებობის საშუალებას. მერიის კულტურის სამსახურების ჩამონათვალში ბიბლიოთეკებიც მოიხსენიონ. ჩვენი ვალია ერთად ვიბრძოლოთ ბიბლიოთეკების გადასარჩენად და ხელი შევუწყოთ მის განვითარებას.

## გიორგი გაბუნია

### რეკლიკა

XIX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს აკაკი წერეთელს დაუწერია შემდეგი ექსპრომტი:

„ელას და დათიკოს შუა  
ჩამდგარა და ჰყეფს ფინია.  
დათიკო ხედავს, იცინის,  
ელიკოს კი ეშინია“

ეს ექსპრომტი შეტანილა დიდი მგოსნის თსკ (თხუტმეტ ტომად) მეორე ტომში (იხ.: გვ. 437) და მის შესახებ ხსენებული ტომის „ვარიანტებსა და შენიშვნებში“ გაკეთებულა ამგვარი კომენტარი: „ელა და დათიკო – ივანე მაჩაბლის შვილებია“ (გვ. 543), რაც არა-

სწორია. ივანე მაჩაბლის შვილები იყვნენ ელენე (ელა, ელიკო) და ნიკო (ნიკუშა, ნიკურია). რაც შეეხება დათიკოს (დავითს), ის გახლდათ მათი დეიდაშვილი – ნიცა და ბეჟან წერეთლების ვაჟი.

აქვე დავძენ, რომ აღნიშნული შეცდომა გასწორებულა აკაკი წერეთლის თსკ (ოც ტომად) II ტომში (იხ.: გვ. 555), მაგრამ, ვინაიდან წინამორბედი გამოცემის ფურცლებზე დაშვებული ლაფსუსის შესახებ იქ არაფერია მინიშნებული, სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად ვცანი წინამდებარე რეკლიკის დაწერა და გამოქვეყნება.

## ჩიხის სასოფლო ბიბლიოთეკაში



2019 წლის 11 ნოემბერს ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის ბიბლიოთეკის ჩიხის სასოფლო ფილიალში უჩვეულოდღე იყო, ლამაზი და სამახსოვრო. ბიბლიოთეკა მასპინძლობდა ღვანლმოსილ ბიბლიოთეკარებს ციცო შავაძეს, ნარგიზი ხაჭალიას, გულნაზი ბოჭორიშვილს, ელიზა ჭილაძეს, რომლებიც მრავალი წელი უანგაროდ და სიყვარულით ემსახურნენ იმ დიდ საქმეს, რასაც წიგნი და ბიბლიოთეკა ჰქვია. მათთვის ეს საქმე არასოდეს ყოფილა უბრალოდ მოვალეობა. მათი კრედიო ყოველთვის იყო: სიყვარულით უნდა აკეთო ის, რაც გევალება და არა ნახევარი გულით. ისინი იყვნენ საუკეთესო კოლეგები, მეგობრები, დღეს კი კარგი დედები და ბებიები არიან.

ღონისძიება გაალამაზეს და ამაგდარ ბიბლიოთეკარებს ლექსები მიუძღვნეს აქტიურმა მკითხველებმა გიორგი მხეცა-

ძემ, ანი და ნიკა ტალახაძეებმა, ლიზი კაკანაძემ. იყო სასიამოვნო მოგონებები, სიყვარულის ცრემლები. ქალბატონმა ციცო შავაძემ ბიბლიოთეკარებს ექსპრომტად მიუძღვნა საკუთარი ლექსი. საჩხერის მერის წარმომადგენელმა ჩიხის ადმინისტრაციულ ერთეულში ქალბატონმა ცისანა მაკასარაშვილმა, ბიბლიოთეკის დირექტორმა მარინე აბრამიშვილმა და სხვებმა ჯანმრ-



თელობა და სულის სიმხნევე უსურვეს მათ.

ღმერთმა ქნას ის უანგარო სიკეთე, რაც მათ მკითხველებისათვის გაიღეს, ათმაგად დაბრუნებოდეთ უკან.

ჩიხის სასოფლო ბიბლიოთეკის სპეციალისტმა და ღონისძიების ორგანიზატორმა მაგული გელბახიანმა მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს და ღონისძიებაში მონაწილეებს.

## რეცენზიები


ინგა ფილაური-ლორია

## ლირიზმით აღსავსე პოეტური კრებული

გამომცემლობა „ივერიონმა“ მიმდინარე წელს გამოსცა ცისანა ქოჩეჩიშვილის ლექსების კრებული „ვარდისფერი, ცისფერი და . . . დარდისფერი ლექსები“. რედაქტორია მზია ხეთაგური, რომლის წინასიტყვაობა მშვენიერი ლექსით - „მორჩა“ - წინ უძღვის გამოცემას. მას ავტორისაგან პატარა მომართვა მოსდევს. წიგნს დართული აქვს ელდინო საღარაძის, აგრეთვე იზა ვეფხვაძის გამოხმაურება. ლექსები დაყოფილია ე.წ. „კონებად“, რომლებიც ორიგინალურადაა დასათაურებული „„უღუღესოდ?!“; „მარადიოული ჰანგი“; „და მოგონება დარჩა ნუგეზად“; „შენ სისხლო ჩემო“; „ჩემი სიცხლის ანკარა წყარო“; „მას აქეთ, რაკი“; „მეგობრობა გზად და ხიდად“; „ძვირფას იუბილარებს“; „დამშვიდობება არ ძალუძს ენას“; „და ყველაფერი როგორ ნაზდება!“; „მაგრამ როცა დავბერდებით“; „დაჟინებითი ფიქრი“; „ღიმილი მინდა“.

გამყოფილი თავების (კონების) დასახელებაც კი ნათლად მიგვანიშნებს ავტორისეულ განწყობილებასა და განცდებზე. კრებული, ქ-ნ ცისანა ქოჩეჩიშვილის, საიუბილეო თარიღს ეძღვნება. ქალბატონ პოეტს სწორედ წელს შეუსრულდა 85 წელი. ჩვენმა ჟურნალმა სათანადოდ აღნიშნა ეს თარიღი და მიულოცა დამსახურებულ ქალბატონს იუბილე.

წიგნს ბოლოში აქვს ოთარ ციციშვილ-ფანასკერტელის, შოთა ტოგონიძის, ცი-



ცინო ბაბუცაძის, მიმოზა ცანავას, რამაზ ბერაძის, ნანული ბოლოთაშვილის,, ნანა დარჩიაშვილის, ნარგიზ ტურძელაძის ლექსები - მიძღვნილი ქ-ნ ცისანასადმი.

წიგნს ერთვის ც. ქოჩეჩაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მოკლე მიმოხილვა.


## სხვადასხვა დროსა და ხანაში

ალექსანდრე ლორიამ მიმდინარე წელს კვლავ გამოსცა ერთი პატარა წიგნი - ნამყო და ჟამი ახალი : მოთხრობები . - თბ., „წიგნი+ერი“, 2019 . - 52 გვ.

წიგნში შევიდა 2 მოთხრობა : „უნიკალური ექსპონატი (ძველი ჯარისკაცის ნაამბობი“ და „პაპა სოლიკოს შეგონებანი“.

როგორც ანოტაცია გვამცნობს, მოთხრობები დიდი ხნის წინ არის დაწერილია. ერთში ასახულია მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კულტურული გადავლის ამბავს, მეორე - შედარებით გვიან პერიოდს ეხება და ბევრ უჩვეულო ეპიზოდს მოგვითხრობს. წიგნს წამძღვარებული აქვს ავტორის წინასიტყვაობა.

მოთხრობები გამოირჩევა სიუჟეტის სიმძაფრითა და პერსონაჟთა სინრფელით, ვიმედოვნებთ, წიგნი ინტერესს გამოიწვევს მკითხველთა შორის.



**ქრონიკა**

**საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა : მოვლენები, ფაქტები**

**30 სექტემბერს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა საქართველოს ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების რეგისტრაციის ცენტრი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ოთახებში განთავსდა წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომრების, ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაციისა და დაცვის, დაკომპლექტების, კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის განყოფილებები.



**30 სექტემბერი**

**9 ოქტომბერი**, რუმინეთის ბოლო მეფის სასახლეში, რუმინეთის ეროვნული მუზეუმის მთავარ დარბაზში გამოიფინა ვახტანგ მეექვსის სტამბის ყველა გამოცემა. გამოცემები რუმინეთში ჩაიტანეს ეროვნული ბიბლიოთეკისა და თბილისის სახელმწიფო



**9 ოქტომბერი**

უნივერსიტეტის ფონდებიდან. მათ დაემატა რუმინეთში დაცული ანთიმოზ ივერიელის მიერ დაბეჭდილი გამოცემები. აქვე გამოიფინა რუმინეთში საქართველოს საელჩოს მიერ შეგროვებული „ვეფხისტყაოსნის“ რუმინული გამოცემები.

**17 ოქტომბერი** საქართველოს ელჩმა რუმინეთში ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა მადლობის წერილი გამოუგზავნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს გიორგი კეკელიძეს იმ თანადგომისათვის, რომელიც ეროვნულმა ბიბლიოთეკამ რუმინეთის ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში ვახტანგ VI-ის სტამბის გამოცემების გამოფენასთან დაკავშირებით გამოიჩინა.



**17 ოქტომბერი**

**18 ოქტომბერი.** ცნობილი გახდა, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ეთნიკურად სომეხი თანამოქალაქეებით დასახლებულ ყველა სოფელის სკოლაში მოეწყობა ბიბლიოთეკებო და საკვირაო სკოლები. სკოლებში შაბათ-კვირას მეცადინეობას ჩაატარებს გიორგი კეკელიძე.

**18 ოქტომბერი.** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ეროვნული ბიბლიოგრაფიის საარქივო ფონდის განყოფილებაში დაინერგა ინტეგ-



18 ოქტომბერი

რირებული საბიბლიოთეკო სისტემა Sierra innovative-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოდული-ცირკულაცია (წიგნის ბრუნვა), რაც გულისხმობს პროგრამულ კავშირეს მომხმარებელს, დარბაზს და საცავს შორის. იგი ასევე მოიცავს წიგნის როგორც ადგილობრივად, ასევე დისტანციურად დაჯავშნის შესაძლებლობას, გაცემასა და დაბრუნებას.

**24-26 ოქტომბერს** თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში.“ კონფერენცია ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთე-



24 ოქტომბერი

კაში. კონფერენციის ორგანიზატორები ასევე იყვნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კვეციანიძემ და დირექტორის მოადგილემ მირინა ხოსი-



25 ოქტომბერი

ტაშვილმა. კონფერენციაში ასევე მონაწილეობდნენ კანადის, თურქეთის, გერმანიის, პოლონეთის, ფინეთის, სომხეთის ცენტრების წარმომადგენლები.



26 ოქტომბერი

**2 ნოემბერი.** ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა ეკვილაბრიუმი საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (CIPA) და გალფთან ერთად და ევროკავშირის მხარდაჭრით ახალქალაქში ახორციელებს პროექტს, რომლის თანახმად ახალქალაქის მუნიცი-



2 ნოემბერი





**3 ნოემბერი**

პალიტეტის ყველა სკოლაში განახლდება ბიბლიოთეკა. ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე თვეში ერთხელ ჩაატარებს გაკვეთილებს. კეკელიძე 2-4 ოქტომბერს ეწვია ახალქალაქის სამ სკოლას, განახლდა ამ სკოლებთან არსებული ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდები.


**5 ნოემბერი.** საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ნაციონალური ცენტრისა და ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით საელჩოში შედგა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სპეციალური გამოცემის პრეზენტაცია. ღონისძიებას ესწრებოდნენ ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გელამ გევორგიანი, სომხეთის ხელნაწერთა ინსტიტუტის „მატენადარანის“ დირექტორი ვაჰან ტერ-ღევონდიანი, სომხეთში აკრედიტებული ელჩები, ქართული სათვისტომო ივერიას წევრები, განათლების და კულტურის სფეროს მოღვაწეები.

**23 ნოემბერი.** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ქართული წიგნები ჩაიტანეს. ბიბლიოთეკა



**5 ნოემბერი**

ტაო-კლარჯეთში მოაწყობს ქართულ საკვირო სკოლებს, მცირე ბიბლიოთეკებს, რომელთა ფონდები შეივსება ლექსიკონებით, „დედაენის“ გამოცემებით, საბავშვო ლიტერატურით. გადაწყდა, რომ ეროვნუ-



**23 ნოემბერი**

ლი ბიბლიოთეკის წარმომადგენლები წელიწადში სამჯერ ეწვევიან ტაო-კლარჯეთს. სტუმრები მივიდნენ 4 სოფელში ესენია ბორჩხას, მურღულს, მაჭახელას, იუსუფელს.

## 2020 წლის ღირსშესანიშნავი და საინუბილეო თარიღების კალენდარი

### იანვარი

- 6 - **155** წლის წინათ (1865) დაიბადა ნიკო მარი - ცნობილი ენათმეცნიერი, ფილოლოგი, არქეოლოგი. გარდაიცვ. 1934 წ.
- 7 - **შობა. უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი.**  
- **115** წლის წინათ (1905) დაიბადა კონსტანტინე ლორთქიფანიძე - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1986 წ.
- 8 - **120** წლის წინათ (1900) დაიბადა გიორგი ლეონიძე - ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1966 წ.
- 9 - **125** წლის წინათ (1895) დაიბადა ნიკოლოზ (ნიკო) ბერძენიშვილი - ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი. გარდაიცვ. 1965 წ.
- 13 - **115** წლის წინათ (1905) დაიბადა სოსო იორამაშვილი - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1965 წ.
- 14 - ქართული თეატრის დღე.
- 15 - **225** წლის წინათ (1795) დაიბადა ალექსანდრე გრიბოედოვი - რუსი მწერალი და დიპლომატი. გარდაიცვ. 1829 წ.
- 20 - **180** წლის წინათ (1840) დაიბადა ალექსანდრე ყაზბეგი - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1893 წ.
- 25 - **110** წლის წინათ (1910) დაიბადა გიორგი სამხარაძე - ქართველი მწერალი გარდაიცვ. 1982 წ.
- 26 - **95** წლის წინათ (1925) დაიბადა ლევან სანიკიძე - ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 2002 წ.
- 27 - **წინობა.**
- 29 - **160** წლის წინათ (1860) დაიბადა ანტონ ჩეხოვი - რუსი მწერალი. გარდაიცვ. 1904 წ.

### თებერვალი

- 8 - **დავითობა.** ხსენება წმინდა დავით მეფისა აღმაშენებლისა (1073 - 1125)
- 10 - **130** წლის წინათ (1890) დაიბადა ბორის პასტერნაკი - რუსი პოეტი და მწერალი. გარდაიცვ. 1960 წ.
- 14 - **170** წლის წინათ (1850) დაიბადა იოსებ ბაქრაძე - ქართველი პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. გარდაიცვ. 1904 წ.
- 26 - **125** წლის წინათ (1895) დაიბადა კოლაუ ნადირაძე - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1990 წ.

### მარტი

- 3 დედის დღე.
- 8 ქალთა საერთაშორისო დღე.
- 10 - **115** წლის წინათ (1905) დაიბადა ლევან გოთუა - ქართველი მწერალი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1973 წ.

- 21** – **85** წლის წინათ (1935) დაიბადა მერაბ კოკოჩაშვილი - ქართველი კინო-რეჟისორი.
- 26** – **345** წლის წინათ (1675) დაიბადა ქართლის მეფე - პოეტი - ვახტანგ VI. გარდაიცვ. 1737 წ.
- 27** – თეატრის საერთაშორისო დღე.

### აკრილი

- 2** – საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.  
– 125 წლის წინათ (1895) დაიბადა ტიცვიან ტაბიძე - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1937 წ.  
– 160 წლის წინათ (1860) დაიბადა მარიამ დემურია - ქართველი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ნაკადულის“ დამაარსებელი. გარდაიცვ. 1910 წ.  
– 215 წლის წინათ (1805) დაიბადა ჰანს ქრისტიან ანდერსენი - დანიელი მეზღაპრე, მწერალი. გარდაიცვალა 1875 წ.
- 7** – ხარება.
- 9** – საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამ შობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე (1989 წ)
- 14** – ქართული ენის დღე.  
– 105 წლის წინათ (1915) დაიბადა შალვა ამისულაშვილი - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1965  
– 110 წლის წინათ (1910) დაიბადა გიორგი შატბერაშვილი - ქართველი მწერალი და დრამატურგი. გარდაიცვ. 1965 წ.
- 19** – ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი.
- 22** – დედამიწის მსოფლიო დღე.
- 23** – წიგნის საერთაშორისო დღე.
- 30** – საქართველოს ბიბლიოთეკის დღე.

### მაისი

- 13** – **180** წლის წინათ (1840) დაიბადა ალფონს დოდე - ფრანგი რომანისტი და დრამატურგი. გარდაიცვ. 1897 წ.
- 14** – თამარობა. ხსენება წმინდა კეთილმორწმუნე ქართველისა დიდი მეფისა თამარისა.
- 17** – **95** წლის წინათ (1925) დაიბადა ფრიდონ ხალვაში - ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვ. 2010 წ.  
– **215** წლის წინათ (1805) დაიბადა სოლომონ დოდაშვილი - განმანათლებელი, ფილოსოფოს-ლოგიკოსი, ჟურნალისტი. გარდაიცვ. 1836 წ.
- 26** – საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღე.

**ივანისი**

- 1** – ბავშვთა საერთაშორისო დღე.  
– ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლა.
- 5** – გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.
- 6** – **145** წლის წინათ (1875) დაიბადა თომას მანი - გერმანელი მწერალი. გარდაიცვალა 1955 წ.
- 11** – **90** წლის წინათ (1930) დაიბადა მორის ფოცხიშვილი - ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვ. 1993 წ.
- 15** – **90** წლის წინათ (1930) დაიბადა ნოდარ შამანაძე - ქართველი პოეტი.
- 16** – **90** წლის წინათ (1930) დაიბადა ოტია იოსელიანი - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 2011 წ.
- 21** – **180** წლის წინათ (1840) დაიბადა აკაკი წერეთელი - ქართველი ხალხის დიდი მგოსანი. გარდაიცვ. 1915 წ.
- 22** – **95** წლის წინათ (1925) დაიბადა მიხეილ ქვლივიძე - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 2005 წ.
- 25** – **130** წლის წინათ (1890) დაიბადა მარიჯანი (მარიამ ალექსიძე) – ქართველი საბავშვო მწერალი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1978 წ.

**ივლისი**

- 1** – **80** წლის წინათ (1940) დაიბადა გრიგოლ ჯულუხიძე - ქართველი პოეტი.
- 18** – **130** წლის წინათ (1890) დაიბადა ვიქტორ დოლიძე - ქართული ნაციონალური კომიკური ოპერის ფუძემდებელი, კომპოზიტორი. გარდაიცვ. 1933 წ.
- 19** – **100** წლის წინათ (1920) დაიბადა ვანო ურჯუმელაშვილი - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1984 წ.
- 20** – **115** წლის წინათ (1905) დაიბადა ნიკო სამადაშვილი - ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1963 წ.
- 21** – **315** წლის წინათ (1705) დაიბადა დავით გურამიშვილი - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1792 წ.

**აგვისტო**

- 3** – ილიაობა.
- 4** – **85** წლის წინათ (19358) დაიბადა ვახუშტი კოტეტიშვილი - ქართული ფოლკლორის მოამაგე, მწერალი. გარდაიცვ. 2008 წ.
- 5** – **170** წლის წინათ (1850) დაიბადა გი დე მოპასანი - ფრანგი მწერალი. გარდაიცვ. 1893 წ.
- 10** – **85** წლის წინათ (1935) დაიბადა გია ყანჩელი - ქართველი კომპოზიტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვ. 2019 წ.
- 21** – **135** წლის წინათ (1885) დაიბადა გერონტი ქიქოძე - ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1960 წ.
- 25** – **90** წლის წინათ (1930) დაიბადა გიორგი დანელია - ქართველი კინორეჟისორი. გარდაიცვ. 2019 წ.

**28** – **მარიამობა** - მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა.

### საქათაბერი

- 1** – მშვიდობის მსოფლიო დღე.  
– **115** წლის წინათ (1905) დაიბადა თამარ აბაკელია - ქართველი მოქანდაკე, გრაფიკოსი და თეატრალური მხატვარი. გარდაიცვ. 1953 წ.
- 8** – **95** წლია წინათ (1925) დაიბადა ოთარ ჭელიძე - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1998 წ.
- 12** – **140** წლის წინათ (1880) დაიბადა კონსტანტინე ფოცხვერაშვილი - ქართველი კომპოზიტორი. გარდაიცვ. 1959 წ.
- 15** – **130** წლის წინათ (1890) დაიბადა აგატა კრისტი - ინგლისელი დეტექტიური ჟანრის მწერალი. გარდაიცვ. 1976 წ.
- 17** – **140** წლის წინათ (1880) დაიბადა ნიკო ლორთქიფანიძე. - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1944 წ.
- 24** – **105** წლის წინათ (1915) დაიბადა ალექსანდრე (სანდრო) მირიანაშვილი - ქართველი კომპოზიტორი. გარდაიცვ. 1987 წ.

### ოქტომბერი

- 1** – მუსიკის საერთაშორისო დღე.
- 3** – **125** წლის წინათ (1895) დაიბადა სერგეი ესენინი - რუსი პოეტი. გარდაიცვ. 1925 წ.
- 14** – **მცხეთობა. სვეტიცხოვლობა.** კვართის დღესასწაული.
- 23** – **120** წლის წინათ (1900) დაიბადა ვერიკო ანჯაფარიძე - ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვ. 1987 წ.
- 27** – **180** წლის წინათ (1840) დაიბადა იაკობ გოგებაშვილი - ქართველი მეცნიერი, პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, საბავშვო მწერალი და პუბლიცისტი. გარდაიცვ. 1912 წ.

### ნოემბერი

- 7** – **300** წლის წინათ დაიბადა ერეკლე II - ქართლ-კახეთის მეფე, გარდაიცვ. 1798 წ.
- 10** – ახალგაზრდობის მსოფლიო დღე.  
– **110** წლის წინათ (1910) დაიბადა გიორგი ნატროშვილი - ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1998 წ.
- 20** – **100** წლის წინათ (1920) დაიბადა ოთარ ჩხეიძე -ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 2007 წ.  
– **140** წლის წინათ (1880) დაიბადა მიხეილ ჭავჭავაძე (ნამდვილი გვარი ადამაშვილი) – ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1937 წ.
- 23** – **გიორგობა.**
- 30** – **185** წლის წინათ (1835) დაიბადა მარკ ტვენი - ამერიკელი მწერალი. გარდაიცვ. 1910 წ.

**დეკემბერი**

- 17** – **250** წლის წინათ (1770) დაიბადა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი - გერმანელი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი. გარდაიცვ. 1827 წ.
- 30** – **155** წლის წინათ (1865) დაიბადა რ. კიპლინგი - ინგლისელი მწერალი. გარდაიცვ. 1935 წ.
- **135** წლის წინათ (1885) დაიბადა ანა ანტონოვსკაია - ცნობილი მწერალი, „დიდი მოურავის“ ავტორი. გარდაიცვ. 1976 წ.
- **90** წლის წინათ (1930) დაიბადა მედეა კახიძე – ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 2015 წ.
- **190** წლის წინათ (1830) დაიბადა დანიელ ჭონქაძე - ქართველი მწერალი გარდაიცვ. 1860 წ.

შეადგინა ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური გაერთიანება“ მირზა გელოვანის სახელობის N2 ფილიალის უფროსმა ქეთევან ნიკურაძემ



ჟურნალში პირველად ვაქვეყნებთ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის გია ჯიჭონიას ლექსების ნაწილს. იგი გახლავთ 11 წიგნის ავტორი, სამი წლის უკან გამოიცა მისი თხზულებების ხუთტომეული. მან შექმნა ლექსების ახალი ფორმა, რომლებსაც უწოდა „კოლხური კიბრი“. კიბრი ითარგმნა იტალიურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. კიევში უკრაინულ ენაზე გამოცემული „კოლხური კიბრების“ კრებულს 2018 წელს მიენიჭა დავით გურამიშვილის სახელობის საერთაშორისო პრემია.

### **შეცდომების გასწორება**

ჩვენი ჟურნალის მე-3 ნომრის გარეკანზე წარწერა „პირველი ქართული ჟურნალი - 200“ უნდა იყოს „პირველი ქართული გაზეთი - 2004“

ამავე ნომერში გამოქვეყნებული სტატიის „მადლობა თქვენ, ქართული ენის ქეზმარტო გუშაგო“ (გვ. 47) ავტორია მერი გიორგაძე და არა ნიკოლოზ მაჭავარიანი.

## გამოსათხოვარი

### კოლეგისა და მეგობრის ხსოვნას



ქალბატონი მანანა კვირიკაშვილი, რომელსაც კიდევ დიდხანს შეეძლო თავისი პროფესიონალიზმით და თავდადებული შრომით სარგებელი მოეტანა იმ დარგისათვის, რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ერთგულად ემსახურა, სამწუხაროდ, სულიეთის საუფლოში გადავიდა.

მისი მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაიწყო. იგი 1977-82 წლებში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა. 1982 წლიდან კი ალექსანდრე ჯაფარიძის (მაშინ ასე იწოდებოდა მთავარი ბიბლიოთეკა) სა-

ხელობის ცენტრალური საქალაქო-სამეცნიერო ბიბლიოთეკის უცხოური განყოფილების გამგეა და თავის ცოდნასა და გამოცდილებას უშუალოდ უზიარებს მკითხველებსაც და ახალგაზრდა კოლეგებსაც.

2008 წლიდან მანანა კვირიკაშვილი მთავარი ბიბლიოთეკის დამუშავება-დაკომპლექტების განყოფილებაშია და თავისი წვლილი შეაქვს საბიბლიოთეკო სისტემის დაკომპლექტების ერთ-ერთ ურთულესსა და საპასუხისმგებლო საქმეში. ხოლო 2017 წლიდან მანანა კვირიკაშვილი გადაჰყავთ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის 38-ე ფილიალში მთავარი ბიბლიოთეკარის შტაბზე, იგი არც აქ იშურებს ძალასა და ენერჯიას და თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურულს აკეთებს მკითხველთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. გარდაცვალებამდე ცოტახნით ადრე - 2019 წლის 1 ივნისიდან მთავარი ბიბლიოთეკის ლიკვიდაციისა და მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებების გამო ქალბატონი მანანა გადაყვანილი იქნა #8-ე ფილიალში იგივე პოზიციაზე. აქაც იმავე სიყვარულით და ერთგულებით აკეთებდა თავის საქმეს როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ამის გამოა, რომ მისი წასვლა როგორც კეთილსინდისიერი თანამშრომლის, კოლეგისა და მეგობრის, როგორც კეთილი ნაცნობის, მტკივნეული და ძალიან გულდასაწყვეტია ყველა იმ ადამიანისთვის, რომელსაც თუნდაც ერთხელ ჰქონია მასთან შეხება.

კოლეგებისა, №8 და №10 ფილიალების  
სახელით  
**ზნა ტოგონიძე**

## ინგა (როზა) არგუტინსკაია (ხსოვნა)



საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემას გამოაკლდა ამაგდარი და ღვანლმოსილი ქალბატონი ინგა არგუტინსკაია. იგი დაიბადა 1930 წლის 22 აპრილს ქ. თბილისში. დამთავრებული ჰქონდა ქ. თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

ქალბატონი ინგა, წლების განმავლობაში, ხელმძღვანელობდა ლადო ასათიანის სახელობის რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკას (რომელიც იმ დროისათვის წარმოადგენდა საბავშვო ბიბლიოთეკების მეთოდურ ცენტრს).

მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ბავშვებთან მომუშავე ბიბლიოთეკების განვითარებასა და წინსვლაში. იგი იყო ერთდირებული, კულტურული, კარგი დიპლომატი ადამიანებთან ურთიერთობაში, თავისი საქმის მოყვარული, ახალი იდეებისა და ბიბლიოთეკის პოპულიზატორი.

მისი ღვაწლი დაფასებული იყო მრავალჯერ როგორც ჩვენი ქვეყნის კულტურის სამინისტროს, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. მიღებული ჰქონდა დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება, ღირსების ორდენი და სხვა მრავალი მადლობა და სიგელი.

დაუვინყარია ნათელით მოსილი მისი სახელი და საქმენი ჩვენთვის დანატოვარი.

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ლადო ასათიანის სახელობის №6 ფილიალი.**

